140
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

5
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარქსის და ენგელსის დიადი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ მეცნიერული ანალიზით დაამტკიცეს გარდუვალობა კაპიტალიზმის კრახისა და მისი გადასვლისა კომუნიზმზე, სადაც აღარ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

მარქსისა და ენგელსის დიადი მსოფლიო ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მათ ყველა ქვეყნის პროლეტარებს მიუთითეს მათ როლზე, მათ ამოცანაზე, მათ მოწოდებაზე: პირველნი აღმდგარიყვნენ რევოლუციური ბრძოლისათვის კაპიტალის წინააღმდეგ, გაეერთიანებინათ თავიანთ გარშემო ამ ბრძოლაში ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული".

ვ. ი. ლენინი

სიტყვა მარქსისა და ენგელსის ძეგლის გახსნისას 1918 წ. 7 ნოემბერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კარლ მარქსი.
1882 წლის ფოტო.

10.663

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის
[illegible]
[illegible]
[illegible]

პიონერი

5 · მაისი · 1968

გამოცემის XXXXII წელი.

[illegible] სახ. სა[illegible]
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელი და საქმე მისი მარად იცოცხლებს

წლეულს, 5 მაისს, პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს მუშათა კლასის დიდი მასწავლებლისა და ბელადის, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების 150-ე წლისთავს.

მისი დამსახურება განუსაზღვრელია. „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული სამყაროს განვითარების კანონები, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის განვითარების კანონები" (ენგელსი) და ამით, როგორც მაიაკოვსკი წერდა, ჭეშმარიტად, — „პროლეტარიატს საჭე მისცა ხელთ". დიდმა სწავლულმა და რევოლუციონერმა კაცობრიობას აჩვენა განვითარების გზა, მიუთითა, თუ როგორ უნდა ებრძოლათ და გაემარჯვათ. მარქსის ყოვლისშემძლე მოძღვრება დღესაც წინ მიგვიძღვის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„შრომა კაცობრიობისათვის" — მისი საყვარელი გამოთქმა იყო ბავშვობიდანვე. იგი მთელი სიცოცხლე იღვწოდა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის: ხელმძღვანელობდა მუშათა პირველ რევოლუციურ ორგანიზაციებს — კომუნისტთა კავშირსა და პირველ ინტერნაციონალს; რედაქტორობდა მუშათა გაზეთებს; ზრდიდა რევოლუციონერებს, უდიდესი მეცნიერი — ქმნიდა რევოლუციურ თეორიას.

კ. მარქსი ახალგაზრდობიდანვე დაადგა პროფესიონალი რევოლუციონერის მძიმე გზას და ამ გზიდან მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ გადაუხვევია, არც არასოდეს შეჭოჭმანებულა, მერყეობა არ დაუწყია. მან, უკვე ხანში შესულმა, თავისი ქალიშვილების შეკითხვაზე, თუ როგორი იყო მისი წარმოდგენა ბედნიერებაზე, უპასუხა, ბედნიერებისათვის ბრძოლაა საჭიროო. შეკითხვაზე, თუ რას თვლიდა თავისი ხასიათის ძირითად თვისებად, უპასუხა: „მიზანთა ერთობლიობას". მისი საყვარელი გმირები ტყუილად კი არ იყვნენ პრომეთეოსი, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, კაცობრიობას ცეცხლი მოუტანა და სპარტაკი — აჯანყებულ მონათა ბელადი.

მარქსი რევოლუციურ გზას ვერც პოლიციისა და სასამართლოს სასტიკმა დევნამ ჩამოაცილა, ვერც განუწყვეტელმა ცილისწამებამ, ვერც მძიმე მატერიალურმა პირობებმა (პირად შემოსავალს იგი წარბშეუხრელად ახარჯებდა რევოლუციის საქმეს). 1852 წელს კ. მარქსი ენგელსს სწერდა: „აი, უკვე ერთი კვირაა შინიდან ვერ გამოვდივარ, რადგან ჩემი სერთუკი ლომბარდშია დაგირავებული". გაჭირვებისა და ხელმოკლეობის გამო მას ოთხი შვილი დაეღუპა. ხშირად საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ წამლისა და ექიმების ფულიც არ ჰქონდა, მაგრამ იგი მუდამ მტკიცედ იტანდა ყოველგვარ გასაჭირს. ენგელსი წერდა: „მავრს" (ასე ეძახდა იგი მარქსს) შეუძლია აღშფოთდეს, მაგრამ წუწუნი მას არასდროს დაუწყია".

მარქსი უდიდესი რევოლუციონერი იყო მეცნიერებაში. ჯერ კიდევ თავისი პოლიტიკური და მეცნიერული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე, იგი ამბობდა: „ფილოსოფოსთ ძალუძთ, მხოლოდ სხვადასხვაგვარად ახსნან სამყარო, მთავარი კი ის არის, რომ იგი გარდაექმნათ". იგი მხოლოდ გარკვეული მიზნით წერდა — გაევრცელებინა თავის გამორკვევათა შედეგები და მიეცა სოციალისტური მოძრაობისათვის მეცნიერული საფუძველი. მარქსი ხშირად იმეორებდა, მეცნიერებისათვის არ არის გატკეპნილი შარაგზა, მის მწვერვალებს მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც არ შეუშინდება გზავიწროსა და გასაჭირსო.

კ. მარქსი საოცარი კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა. თუ საკითხი კარგად არ ჰქონდა შესწავლილი, მასზე არასოდეს არ დაიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც მოინდომებდა რისამე შესწავლას, საფუძვლიანად, მთელი თავისი არსით შეისწავლიდა.

კ. მარქსი თანამედროვეთ ანცვიფრებდა ენციკლოპედიური განათლებით, ცოდნის მრავალმხრივობით. ბევრი ენა იცოდა, შესანიშნავად იცნობდა ლიტერატურას, მუსიკას, ჭადრაკსაც თამაშობდა. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო მეტად ფართო იყო. საზოგადოებრივ მეცნიერებათა გარდა (ისტორია, ფილოსოფია, პოლიტეკონომია) იგი მეცნიერების სხვა დარგებსაც სწავლობდა, მაგალითად, ტექნიკის ისტორიას და მათემატიკას (ამ დარგში რამდენიმე დამოუკიდებელი აღმოჩენაც აქვს), ქიმიას, ფიზიკას (კერძოდ, ელექტრობას და ქიმიკატების გამოყენებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში), გეოლოგიას, აგრონომიას და სხვ.

მარქსი არაჩვეულებრივად მოკრძალებული ადამიანი იყო, არ უყვარდა თავის გამოჩენა, ურთიერთობაში კეთილისა და პირდაპირისათვის უცხო იყო ყოველგვარი პირფერობა და მაამებლობა. ჭირივით სძულდა ყალბი დიდებით მოსილი ადამიანები და გაბერილი ავტორიტეტები. მარქსის დასაფლავებისას მისმა დიდმა მეგობარმა ფ. ენგელსმა თქვა: „მას ალბათ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ შეუძლებელია ჰყოლოდა თუნდაც ერთი პირადი მტერი".

კ. მარქსი თვითონ ვერ მოესწრო თავისი იდეების დღესასწაულს, მაგრამ საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მისმა იდეებმა ფრთები შეისხა და კომუნიზმისაკენ მიჰყავს ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვილჰელმ ლიბკნეხტი**

მეცხრამეტე საუკუნის გერმანიის დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.



კარლ მარქსი მუშაობის დროს — მხატვარი ვ. ლაპინი

# მარქსი მუშაობის დროს

„გენია ბეჯითობაა",—უთქვამს ვილაცას; ეს თუ მთლად ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანწილად მაინც სწორია.

სადაც განსაკუთრებული ენერგია და შრომისმოყვარეობა არ არის, იქ არც გენიაა. ეგრეთწოდებული გენია, რომლისთვისაც უცხოა ერთიცა და მეორეც, მხოლოდ სხვადასხვა ფერებად აბრჭყვიალებული საპნის ბუშტია, ან კიდევ, სადღაც მთვარეზე, მომავალი კეთილდღეობისათვის გაცემული თამასუქი. მაგრამ, სადაც არის ენერგია და შრომისმოყვარეობა, იქ გენიაც არის. მე ვიცნობდი ბევრ ადამიანს, რომლებიც თავს გენიოსებად სთვლიდნენ და თავიანთ წრეშიც მათ გენიოსებს ეძახდნენ, მაგრამ რომლებიც მოკლებული იყვნენ შრომისმოყვარეობას და სინამდვილეში მხოლოდ მჭერმეტყველებისა და თვითრეკლამის ნიჭით დაჯილდოებული უსაქმურები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ყველა ნამდვილად დიდი ადამიანი, რომელთა გაცნობაც მე მომიხდა, ბეჯითი იყო და გულმოდგინედ შრომობდა. ეს მთელი სისრულით ეხება მარქსსაც. ის უჩვეულოდ ბევრს მუშაობდა და, რადგანაც დღისით, განსაკუთრებით, მისი ემიგრანტული ცხოვრების პირველ ხანებში. ხშირად უშლიდნენ ხელს, მან ღამე დაიწყო მუშაობა. საღამოს, როცა რომელიმე სხდომიდან ან კრებიდან ვბრუნდებოდით, ის, ჩვეულებრივ, რამდენიმე საათით კვლავ ჩაუჯდებოდა ხოლმე სამუშაოს. ეს რამდენიმე საათი უფრო და უფრო იზრდებოდა. და ბოლოს, თითქმის მთელი ღამე მუშაობდა. დასაძინებლად დილით წვებოდა. მეუღლე ხშირად სერიოზულად უსაყვედურებდა ამის გამო, მარქსი კი პასუხად მხოლოდ გაიცინებდა ხოლმე...

თუმცა მისი ორგანიზმი განსაკუთრებულად ძლიერი იყო, მარქსი ორმოცდაათიანი წლების ბოლოს უკვე უჩიოდა სხვადასხვა ავადმყოფობას. ექიმთან მისვლა გახდა საჭირო. ექიმმა კატეგორიულად აუკრძალა ღამით მუშაობა და much exercise, ე. ი. რაც შეიძლება მეტი მოძრაობა, ფეხით და ცხენით გასეირნება დაუნიშნა. იმ ხანებში მე და მარქსი ბევრს ვხეტიალობდით ლონდონის გარეუბნებში, უფრო მეტად — ჩრდილოეთ ბორცვოვან მიდამოებში. მარქსი მალე გამომჯობინდა; მისი ორგანიზმი თითქოს ნამდვილად დიდი დაძაბულობისათვის იყო შექმნილი.

მაგრამ, როგორც კი თავი გამოჯანმრთელებულად იგრძნო, თანდათან კვლავ დაუბრუნდა თავის ჩვეულებას — ღამღამობით მუშაობას, ვიდრე კრიზისი ისევ არ განუმეორდა, რამაც აიძულა გონივრული ცხოვრების წესები შემოეღო. მაგრამ ეს მხოლოდ მანამდე გაგრძელდა, სანამ ამას მისი ფიზიკური მდგომარეობა აიძულებდა. კრიზისები სულ უფრო ძლიერდებოდა, ღვიძლის ავადმყოფობა ურთულდებოდა, ავთვისებიანი ჩირქგროვებიც გაუჩნდა და რკინის ორგანიზმი თანდათან გატყდა.

დარწმუნებული ვარ, და ასეთივე აზრისანი არიან ექიმებიც, რომლებიც მას ბოლო ხანებში მკურნალობდნენ, რომ მარქსი დღესაც ცოცხალი იქნებოდა, თუ იგი შესძლებდა ეცხოვრა ნორმალური ცხოვრებით, ესე იგი ისეთი ცხოვრებით, რომელიც მისი ორგანიზმის მოთხოვნების, ანდა, ვთქვათ, ჰიგიენის სათანადო მოთხოვნების შესაბამისი იქნებოდა. მარქსმა ღამით მუშაობაზე თავისი სიცოცხლის მხოლოდ უკანასკნელ წლებში აიღო ხელი, როცა უკვე ძალზე გვიან იყო. სამაგიეროდ, იგი უფრო მეტს მუშაობდა დღისით. მუშაობდა გამუდმებით, მუშაობდა ყოველთვის, როგორც კი ამის ოდნავი საშუალება მიეცემოდა. სეირნობის დროსაც კი თან მიჰქონდა უბის წიგნაკი და მასში წარამარა იწერდა შენიშვნებს. მისი შრომა არასოდეს არ იყო ზედაპირული. მარქსი მუდამ ინტენსიურად და უდიდესი საფუძვლიანობით მუშაობდა. მისმა ქალიშვილმა ელეონორამ ერთი ისტორიული ცხრილი მაჩუქა, რომელიც მარქსმა თავისთვის შეადგინა, რათა ამ ცხრილით რაღაც მეორეხარისხოვანი შენიშვნებისათვის ესარგებლნა. თუმცა, მარქსისთვის მეორეხარისხოვანი საგნები არ არსებობდა და ეს ცხრილიც ისე გულმოდგინედ არის შესრულებული, თითქოს დასაბეჭდად იყოს განკუთვნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსი მუშაობის დროს ისეთ გამძლეობას იჩენდა, რომ ხშირად განცვიფრებული ვრჩებოდი. მან არ იცოდა დაღლა. და მაშინაც კი, როცა მისი ორგანიზმი აუცილებლად უნდა გატეხილიყო, იგი სისუსტის ნასახსაც არ ამჟღავნებდა.

თუ ადამიანის ფასზე მის მიერ შესრულებული შრომის მიხედვით ვიმსჯელებთ — როგორც ნივთების ღირებულებას მათზე დახარჯული შრომის რაოდენობით განვსაზღვრავთ ხოლმე, — მაშინ ამ თვალსაზრისითაც იმდენად დიდია მარქსის ფასი, რომ აზრის გიგანტთა შორის მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია მასთან გატოლება.

რით აუნაზღაურა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შრომის ეს წარმოუდგენელი რაოდენობა?

„კაპიტალზე" მარქსი ორმოც წელიწადს მუშაობდა. და მერე როგორ შრომობდა! ისე, როგორც მხოლოდ მარქსს შეეძლო მუშაობა. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მცირე ხელფასის მქონე დღიური მუშა გერმანიაში ორმოცი წლის განმავლობაში უფრო მეტ ფულს იღებს, ვიდრე მარქსმა მიიღო ჩვენი საუკუნის უდიდეს მეცნიერულ ნაწარმოებში „ჰონორარის" სახით.

მეცნიერებას არა აქვს საბაზრო ღირებულება; თანაც, განა შეიძლებოდა ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან იმის მოთხოვნა, რომ მას რიგიანი ფასი გადაეხადნა თავისი საკუთარი სასიკვდილო განაჩენისათვის!..

# მარქსი და ბავშვები

როგორც ყველა ძლიერი და ჯანმრთელი ბუნების ადამიანს, მარქსს განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები. იგი მარტო უნაზესი მამა როდი იყო, რომელსაც, როგორც ბავშვს, საათობით შეეძლო ეთამაშნა თავის შვილებთან. მარქსს მაგნიტივით იზიდავდნენ თავისი ცხოვრების გზაზე შეხვედრილი სხვისი ბავშვებიც განსაკუთრებით — უმწეონი და უბედურნი. ღარიბთა ბინებში სტუმრობის დროს იგი ხშირად მიგვატოვებდა ხოლმე, რათა სახლის ზღურბლზე მჯდარი, კონკებით შემოსილი ბავშვისათვის თავზე ხელი გადაესვა და ხელში პენი ან ნახევარი პენი მიეჩეჩებინა.

მათხოვრებს უნდობლად ეპყრობოდა, რადგან მათხოვრობა ლონდონში ნამდვილ ხელობად იქცა და ისიც — ოქროსფსკერიან ხელობად, თუმცა მას მხოლოდ შავი ფული მოჰქონდა. ამიტომ მათხოვრებმა, რომლებსაც მარქსი მოწყალებაზე პირველ ხანებში არასდროს უარს არ ეუბნებოდა, თუ ჯიბეში რაიმე ჰქონდა ხოლმე, დიდხანს ვერ შესძლეს მისი მოტყუება. მარქსი გულისწყრომით ლაპარაკობდა იმაზე, ვინც მოჩვენებითი ავადმყოფობისა და გაჭირვების ოსტატური დემონსტრირებით ცდილობდა მისთვის ხარკი შეეწერა. ადამიანური თანაგრძნობის ამ ექსპლოატაციას მარქსი განსაკუთრებულ უნამუსობად, ღარიბების ძარცვად სთვლიდა. მაგრამ, თუ მათხოვარს თან ატირებული ბავშვი ახლდა, მარქსის საქმე უკვე აუცილებლად წაგებული იყო, მათხოვრის სახეზე რაც არ უნდა მკაფიოდ წერებულიყო მთელი მისი თაღლითობა.

მარქსის ორივე ვაჟიშვილი დაიღუპა: ერთი, ლონდონში დაბადებული, ძლიერ ადრე მოკვდა, მეორე, ბრიუსელში დაბადებული კი — ხანგრძლივი ქრონიკული ავადმყოფობის შემდეგ.

ახლაც მახსოვს უიმედო ავადმყოფობის მწუხარე კვირეები. ბიჭი, რომელსაც მუშის ეძახდნენ (ბიძის პატივსაცემად დარქმეული მისი ნამდვილი სახელი ედგარი იყო), მეტად ნიჭიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბადებიდანვე ავადმყოფი იყო. საბრალო ბავშვს მშვენიერი თვალები და ბევრისაღმქმელი თავი ჰქონდა, რომელიც მისი სუსტი სხეულისათვის ძალზე დიდად გვეჩვენებოდა!

საცოდავ მუშის შეიძლება ეცოცხლნა კიდეც, სადმე ზღვის პირას ან ტყეში რომ გაეწია ვინმეს გულმოდგინე მეთვალყურეობა, მაგრამ მათი ოჯახის მოხეტიალე ცხოვრება, ლონდონში ულატაკეს პირობებში ყოფნა ვერ დაეხმარებოდა ნაზ მოზარდს სიცოცხლისათვის ბრძოლაში; მას ვერც მამის ნაზმა მშობლიურმა სიყვარულმა უშველა და ვერც დედის ზრუნვამ. მუში გარდაიცვალა...

არასოდეს დამავიწყდება ეს სცენა: მიცვალებულის გვამზე ქვითინით დახრილი დედა; იქვე მდგარი და გულამოსკვნით მტირალი ლენხენი*; საშინლად აღგზნებული მარქსი, რომლისთვისაც ამაო იყო ყოველგვარი ნუგეშისცემა; ჩუმად ატირებული, დედას მიკრული ორივე გოგონა... მწუხარებაში ჩაძირული დედა ისეთი ძრთოლვით ეხვეოდა თავის ქალიშვილებს, თითქოს უნდოდა მის სხეულს შერთვოდნენ ისინი და დაეცვა სიკვდილისაგან, რომელმაც მას ვაჟები წაართვა.

...მარქსს მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული ბავშვთა საზოგადოებაში ყოფნა. ბავშვებთან იგი ისვენებდა და გამოცოცხლდებოდა ხოლმე. როცა მისი საკუთარი შვილები წამოიზარდნენ, მათი ადგილი შვილიშვილებმა დაიჭირეს. ჟენიხენმა, რომელიც სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომუნისტ ემიგრანტ ლონგეზე გათხოვდა, მარქსის სახლი თავისი საშინლად ცელქი ვაჟიშვილებით გამოაცოცხლა. პაპას განსაკუთრებით უფროსი ბიჭი ჟანი ანუ ჯონი უყვარდა. ჯონის შეეძლო ყველაფერზე დაეთანხმებინა პაპა, მან ჩინებულად იცოდა მისი ხასიათი. ერთხელ, როცა მარქსს ლონდონში ვესტუმრე ჯონის (იგი მშობლებმა პარიზიდან გამოგზავნეს — წელიწადში რამდენჯერმე გზავნიდნენ ხოლმე.) თავში გონებამახვილური იდეა მოუვიდა — მარქსი გადაექცია ომნიბუსად, რომლის კოფოზეც, ესე იგი მარქსის მხრებზე, შეფოფხდა; ენგელსი და მე ცხენებად ვიქეცით. ჩვენც შევებით ომნიბუსში და... დაიწყო გადარეული დოღი მეიტლენდპარკ-როუდზე მდებარე მარქსის კოტეჯის უკან გაშენებულ პატარა ბაღში.

ჯონი მიგვერეკებოდა საერთაშორისო გერმანულ-ფრანგულ-ინგლისურ შეძახილებით: „Go on! Peus rite! Hurrah!"*) მარქსი ისე მიჰქროდა, რომ სახეზე წყალივით ჩამოსდიოდა ოფლი; როცა ენგელსმა და მე ნელ ნაბიჯზე გადასვლა ვცადეთ, მაშინვე მოგვხვდა შეუბრალებელი მეეტლის შოლტი: „You, nauqhty horse! En avant!"*)

ასე გაგრძელდა მანამდე, ვიდრე მარქსს ქანცი არ გაუწყდა. მაშინ ჩვენ ჯონის მოლაპარაკება გავუმართეთ და ზავი შევკარით.

თარგმნა **თეიმურაზ ჯანგულაშვილმა.**

---

* მარქსის ოჯახის მუდმივი მეგობარი ქალი.

* წინ! ჩქარა! ვაშა!

* ჰეი, ზარმაცო ცხენო! წინ!

„....გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, რომელთაც საერთოდ რომ ვთქვათ, შესწევთ უნარი იბრძოლონ სიცოცხლის დაუზოგავად, მაინც ზოგჯერ შურით ვუყურებდით იმ გმირებს, რომელთაც მაშინ გვაძლევდა კომკავშირი“.

ს. მ. კიროვი




ვახტანგ ქარუმიძე



ვ. ი. ლენინი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას, აღიარებდა მის დიდ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. იგი ჯერ კიდევ 1905 წლის თებერვალში მკაცრად ილაშქრებდა და სასტიკად აკრიტიკებდა იმათ, ვინც თავს ნებას მისცემდა და იტყოდა, ადამიანები არა გვყავსო. რუსეთში ადამიანები უამრავია, — ამბობდა ლენინი, — ოღონდ საჭიროა „მოვიზიდოთ ახალგაზრდობა, არ გვეშინოდეს მისი. ომიანობის დროა. ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობა და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც“.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამდე რუსეთში მუშა ახალგაზრდობის პოლიტიკური ორგანიზაციის ჩასახვისათვის პირობები არ არსებობდა. მეფის ხელისუფლების სისასტიკე, დაუნდობელი ტერორი, იატაკქვეშეთის მძიმე პირობები ახალგაზრდობის მოძრაობის ფართოდ განვითარებას დიდად აფერხებდა.

მუშა ახალგაზრდობის მოძრაობის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ბოლშევიკური პარტიის დახმარებითა და ხელმძღვანელობით რევოლუციის პირველი დღეებიდანვე რუსეთის სამრეწველო ცენტრებში, განსაკუთრებით, პეტროგრადში, დაიწყო ახალგაზრდობის პირველი რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა. მათი ძირითადი მიზანი ახალგაზრდა მუშების ეკონომიური და უფლებრივი ინტერესების დაცვა იყო. ბოლშევიკების პარტიამ, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მომზადების ლენინურ გეგმას ახორციელებდა, მხარი დაუჭირა ახალგაზრდობის ამ შესანიშნავ წამოწყებას.

პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობა განუყრელად იყო დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან. ცხოვრების პირობები, ახალგაზრდობასთან ბოლშევიკური პარტიის მუშაობა, რუსეთში არსებული რევოლუციური ვითარება მოზარდ თაობას მოუწოდებდა თავისი უფროსი ამხანაგების მაგალითისათვის მიებაძა და რევოლუციური ბრძოლის გზაზე დამდგარიყო. რუსეთის ახალგაზრდა მუშები, გლეხები და მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლებში.

ახალგაზრდობამ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მამაცობისა და გმირობის ნიმუშები გვიჩვენა. ახალგაზრდობა თანდათან იწრთობოდა, რევოლუციურ გამოცდილებას იძენდა.

პარტიამ, ვ. ი. ლენინის მეთაურობით, ახალგაზრდობის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას თავიდანვე დაუჭირა მხარი. ვ. ი. ლენინი 1919 წელს წერდა: „ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას ჩვენ უსათუოდ უნდა დავუჭიროთ მხარი, და არა მარტო იმიტომ, რომ ოპორტუნისტებს ეშინიათ ამ დამოუკიდებლობისა, არამედ არსებითადაც, ვინაიდან სრული დამოუკიდებლობის გარეშე ახალგაზრდობა ვერ შეძლებს ვერც კარგი სოციალისტების გამომუშავებას თავისთავისაგან, ვერც იმისათვის მომზადებას, რომ სოციალიზმი წინ წარმართოს“.

1917 წლის აპრილში, ნარვა-პეტერჰოფის რაიონში შეიქმნა მუშა ახალგაზრდობის ერთ-ერთი პირველი სოციალისტური კავშირი — პუტილოვის გემთსაშენის უფროსი ასაკის ახალგაზრდობის ჯგუფი. მისი ორგანიზატორი ახალგაზრდა ბოლშევიკი ვასია ალექსეევი იყო. კავშირის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში, ბოლშევიკურ გაზეთებს, მოწოდებებს ავრცელებდნენ, წითელი გვარდიის რაზმებისათვის შოულობდნენ იარაღს, აგიტაციას ეწეოდნენ მუშა ახალგაზრდობასა და ჯარისკაცებში.

პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდა მუშებს დიდ დახმარებას უწევდნენ ორგანიზაციულ გაერთიანებაში. მუშა ახალგაზრდობის კავშირების განვითარებას ყურადღებით ადევნებდა თვალს ვ. ი. ლენინი. ახალგაზრდობასთან რევოლუციურ მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევდა ნ. კრუპსკაია. 1917 წლის აპრილში, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, მან მუშაობა დაიწყო ახალგაზრდობას შორის, დადიოდა მათს კრებებზე, ახალგაზრდებს განუმარტავდა პარტიის პოლიტიკას, წერდა სტატიებს ახალგაზრდობის შესახებ. ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციების შექმნაში თვალსაჩინო როლი შეასრულა გაზეთმა „პრავდამ“.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობამ (1917 წლის ივლის-აგვისტო), რომელიც შეიარაღებულ აჯანყებაში ახალ-




გაზრდობის მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, საგანგებოდ განიხილა ახალგაზრდობის კავშირების საკითხი და ამ საკითხზე რეზოლუციაც მიიღო. ყრილობამ აუცილებლად ჩათვალა, პარტიული ორგანიზაციებს ადგილებზე უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექციათ ახალგაზრდობის ორგანიზაციის საქმისათვის. ყრილობამ აღნიშნა, რომ „პარტიის ჩარევა მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციულ მშენებლობაში არ უნდა ატარებდეს მის მიმართ მეურვეობის ხასიათს". ახალგაზრდობის კავშირები, როგორც პარტიის რეზერვები, უნდა ატარებდნენ სოციალისტურ ხასიათს. ისინი მიზნად უნდა ისახავდნენ პროლეტარული ახალგაზრდობის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებას — სოციალიზმის იდეების პროპაგანდას და არასრულწლოვან მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური უფლებრივი ინტერესების დაცვას.

მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების შექმნისათვის ხელის შეწყობა ყრილობამ ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად აღიარა და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა, რომ „ამ მუშაობას მიაქციოს ყურადღების შესაძლო მაქსიმუმი".

პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებამ — „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ" — რუსეთში პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა.

1917 წლის აგვისტოდან ახალი ეტაპი იწყება ახალგაზრდობის მოძრაობის განვითარებაში. ახალგაზრდობის კლასობრივი ორგანიზაციები ყველგან მტკიცდებოდნენ და ამრავლებდნენ თავიანთ რიგებს. მთელ ჩვენს ქვეყანაში, უწინარეს ყოვლისა, სამრეწველო ცენტრებში, განსაკუთრებით პეტროგრადში, მოსკოვში, ურალში. 1917 წლის აგვისტოსექტემბრიდან ახალგაზრდობის მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა.

„სექტემბერმა და ოქტომბერმა განვლო ბოლშევიკების მზარდი გავლენის ნიშნით, განმტკიცდა ორგანიზაცია, შეიცვალა მუშა ახალგაზრდობის კავშირების სახე. დაიწყო დაძაბული მზადება ბრძოლისათვის... მტკიცე გახდა კავშირი პარტიასთან, გაიზარდა ახალგაზრდობის აქტივობა. ოქტომბრის დღეებში ახალგაზრდობა არ ჩამორჩა მოზრდილებს". — წერდა ნ. კრუპსკაია.

რუსეთის მუშა ახალგაზრდობის კავშირები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. მათ მობილიზაცია გაუკეთეს ახალგაზრდობის ძალებს. წითელი გვარდიის რიგები ახალგაზრდებით შეივსო პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში, ოდესაში, ეკატერინებურგსა და სხვა ქალაქებში.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ენერგიული მუშაობა გააჩაღეს ახალგაზრდების რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად. პარტიის თბილისის კომიტეტის თაოსნობით, 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა „საინიციატივო ჯგუფი", რომელმაც 3 სექტემბერს დამფუძნებელი კრება მოიწვია. კრებამ განიხილა წესდების და ზოგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციას ეწოდა „ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია — „სპარტაკი".

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია დროებითი კომიტეტი და მიიღო მანიფესტი — „კავკასიის მთელ მშრომელ ახალგაზრდობას!" მანიფესტი ახალგაზრდობას მოუწოდებდა რევოლუციური ორგანიზაციები შეექმნა და პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისათვის ყველგან დაეჭირა მხარი. მანიფესტში ნათქვამი იყო: „სპარტაკის" ორგანიზაცია, რომელიც აღსავსეა იმედებითა და მისწრაფებებით, იწყებს თავის მოღვაწეობას და მოუწოდებს კავკასიის ყველა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტს, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი და დაეხმაროს ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ ორგანიზაციებს კავკასიაში".

„სპარტაკის" დროებითი კომიტეტი მიზნად ისახავდა მშრომელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მათს რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმას და ორგანიზაციულ გაერთიანებას. დროებითი კომიტეტი სისტემატურად მართავდა საერთო კრებებს, ატარებდა პროპაგანდისტთა, აგიტატორთა და ორგანიზატორთა შეკრებებს, სცემდა სხვადასხვა ფურცლებს, მოწოდებებს, მანიფესტებს.

თბილისში „სპარტაკის" ორგანიზაციის შექმნამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს სხვა რაიონებისა და ქალაქების რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდებზე, მათს ორგანიზაციულად გაერთიანებაზე. ახალგაზრდობის კავშირები ყველგან იქმნებოდა.

მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირები პირველი ნაბიჯებიდანვე მოქმედებდა, როგორც მებრძოლი თანაშემწე პარტიისა, რომელმაც დარაზმა და ფართო გზაზე გამოიყვანა ახალგაზრდობა. ეს კავშირები პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და სოციალიზმის აშენებისათვის გმირული ბრძოლის სულისჩამდგმელი და გეზის მიმცემი იყო.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიის ერთგული და მამაცი თანაშემწე იყო მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირები. შეიარაღებული აჯანყების მომზადების პერიოდში დიდად გამოიჩი-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა თავი მუშა და გლეხმა ახალგაზრდობამ, როგორც საიმედო ძალამ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი შეიარაღებული აჯანყების გეგმის შემუშავებისას ანგარიშს უწევდა ამ ძალას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. ვ. ი. ლენინი წერდა: „გამოიყონ ყველაზე გაბედული ელემენტები (ჩვენი „დამკვრელები“ და მუშათა ახალგაზრდობა, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარ-პატარა რაზმებად, რათა დაიკავონ მათ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტი და მონაწილეობა მიიღონ ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში“.

ეს ახალგაზრდობის რევოლუციურ ღირსებათა უმაღლესი შეფასება იყო და რუსეთის ახალგაზრდობამ პარტიის დიდი ნდობა სავსებით გაამართლა ოქტომბრის დღეებში.

ახალგაზრდობის კავშირის წევრები ჯერ კიდევ აჯანყებამდე ეწერებოდნენ წითელი გვარდიის რაზმებში, გადიოდნენ სამხედრო მომზადებას და ბრძოლისათვის ენერგიულად ემზადებოდნენ. პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე პოდვოისკი ვ. ი. ლენინისადმი წარდგენილ მოხსენებითს ბარათში აღნიშნავდა: „წითელ გვარდიაში გაძლიერდა ახალგაზრდობის მოზღვავება“.

ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის წითელგვარდიელთა თითქმის მესამედს ის მუშები შეადგენდნენ, რომელთაც 21 წელი ჯერ არ შესრულებოდათ. ფაბრიკებსა და ქარხნებშიც ახალგაზრდული საბრძოლო რაზმები და ქალთა სანიტარული რაზმეულები იქმნებოდა.

პეტროგრადში მრავალი ახალგაზრდა მონაწილეობდა ზამთრის სასახლის აღებაში და წითელი გვარდიის იმ რაზმებში, რომლებმაც 7 ნოემბრის ისტორიულ ღამეს ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები დაიკავეს. პეტროგრადისა და მოსკოვის წითელი გვარდიის რაზმების დაახლოებით 40 პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენდა.

მოსკოვში, ბარიკადებზე დაეცა ახალგაზრდობის კავშირის წევრი ლუსია ლისინოვა. ოქტომბრის დღეებში იგი მოწინავეთა რიგებში იყო: უვლიდა დაჭრილებს, ზამოსკვორეჩიეს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტში იღებდა პაკეტებს წითელგვარდიელთა რაზმებიდან, აგროვებდა ცნობებს, ტყვიის წვიმაში უშიშრად დადიოდა და ცნობები დაჰქონდა, მონაწილეობდა სანიტარული რაზმების ორგანიზაციაში.

ამრიგად, რევოლუციურმა ახალგაზრდობამ სავსებით გაამართლა ბოლშევიკური პარტიის დიდი ნდობა. მუშა ახალგაზრდობამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

1918 წლის ივლისში შეიქმნა მუშა და გლეხი ახალგაზრდობის კავშირის სრულიად რუსეთის I ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც გამოაქვეყნა მოწოდება ახალგაზრდობის ყველა კავშირისადმი. მოწოდებაში ნათქვამია: „ჩვენ მებრძოლები ვართ... ჩვენ არ გვაშინებს ქარიშხლები... ჩვენთვის არ არსებობს საშუალო გზები, არსებობს ერთი, მხოლოდ ერთი გზა — გეზი სოციალიზმისაკენ“.

კომკავშირის I ყრილობამ, რომელიც 1918 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა, განახორციელა ვ. ი. ლენინის აზრი ახალგაზრდობის დამოუკიდებელი, კომუნისტურ პარტიასთან იდეურად დაკავშირებული ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

კომკავშირის შექმნა მომზადებული იყო პროლეტარული ახალგაზრდობის შემჭიდროებისა და რევოლუციური აღზრდისათვის პარტიის მიერ გაწეული მრავალი წლის მუშაობით.

„კომკავშირის შექმნა, — აღნიშნავდა მ. კალინინი, — არსებითად ახალი ნაბიჯი იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გზაზე. ამ ისტორიულმა მოვლენამ პრინციპული სიახლე შეიტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის როლის საკითხში. კომკავშირმა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ერთ მთელად შეამჭიდროვა და მტკიცედ დააკავშირა კომუნისტურ პარტიასთან“.

კომკავშირმა პირველი საბრძოლო ნათლობა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის მძიმე წლებში მიიღო. მედგრად, თავგამოდებით იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები ოქტომბრის დიად მონაპოვართა შესანარჩუნებლად. სამოქალაქო ომის ფრონტებზე მათ არნახული გამბედაობა, გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს, საბჭოთა ხალხს დაეხმარნენ ინტერვენტების განდევნაში, შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურებაში, ახალი ცხოვრების მშვიდობიანი მშენებლობის დაწყებაში.

სამოქალაქო ომის წლებში, კომუნისტური პარტიის მოწოდებით, კომკავშირმა სამჯერ ჩაატარა მობილიზაცია სამოქალაქო ომის ფრონტებზე თავისი საუკეთესო წარმომადგენლების გასაგზავნად. ამ მობილიზაციის შედეგად წითელ არმიას 25 ათასზე მეტი კომკავშირელი შეემატა. მრავალი კომკავშირული ორგანიზაცია მთელი თავისი შემადგენლობით წავიდა ფრონტზე.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა სამოქალაქო ომში კომკავშირის მონაწილეობა: კომკავშირი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქარიშხლის ჭიუხებით

თამარ
ჩხაიძე

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.

## გამოცდები

თბილისი პირდაბანილი შეეგება სერგოს. ფოთლებს აქა-იქ ჯერ კიდევ აჩნდა წვიმის წვეთები.

მთაწმინდაზე მამადავითის ეკლესია ქათქათებდა. მტრედს შეადარა სერგომ იგი, მთის კალთაში დაბუდებულს. აქ მზე უფრო ბრწყინვალე ეჩვენა, ცა — უფრო მაღალი და ლურჯი.

— რა ლამაზი ხარ, შენი ჭირიმე! — თქვა აღტაცებით..

— ვიაროთ, ვიაროთ, გვიგვიანდება! — ფიქრებიდან გამოიყვანა ბიძაშვილმა ტარასიმ.

რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ ტარასის ღილები ახალმოჭრილი შაურიანებივით უბზინავდა მზეზე.

ფართო ქუჩაზე გავიდნენ.

— ეს მიხეილის პროსპექტია! — თქვა ტარასიმ. ერთხანს კიდევ იარეს და ორსართულიან მწვანე შენობას მიადგნენ.

— ეს მიხეილის საავადმყოფოა, საფერშლო სკოლაც აქ არის!

ტარასი სერგოს ეზოში შეუძღვა. საგამოცდო ოთახის კარებთან ხელი მოჰხვია და ჩურჩულით უთხრა:

— აბა, შენ იცი, სერგო, ბრინჯივით თუ არ დაიბნევი!

სერგო არ დაიბნა, მერე რა, თუ მის წინ მჯდარი ჭორფლიანი, პაჭუა, მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი ყულაყუდა თანამერხელს სერგოზე ანიშნებდა და დაცინვით სისინებდა:

— შეხედე, ყაბალახიანი, სოფლელი!

— ოვცინ! — გამოუძახეს იმ პაჭუას.

ოვცინი ახალი ფეხსაცმლის ჭრაჭუნით მივიდა მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდასთან.

—ოვცინ, ვინ დაწერა ლექსი „ზამთრის საღამო?“! — ჰკითხა სათვალებიანმა მასწავლებელმა. ოვცინი დუმდა.

— აბა, ყმაწვილო, თქვენ გვიპასუხეთ! — მიმართა მასწავლებელმა სერგოს.

— რუსეთის უდიდესმა მგოსანმა, ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინმა. — მიუგო სერგომ და ლექსიც თქვა.

— ყოჩაღ! — შეაქო მასწავლებელმა.

ვერც ამოცანა გამოიყვანა ოვცინმა, ვერც ხერხემლის მალების შესახებ თქვა რამე.

— შენ რა, მესამე წელსაც ხომ არ აპირებ პირველ კლასში დარჩენას?! — ჰკითხა მასწავლებელმა ოვცინს.

კომისიის წევრებს გაეცინათ. გამოცდაზე მოსულ ყმაწვილებსაც ეღიმებოდათ, მხოლოდ სერგო შესცქეროდა სიბრალულით, მზად იყო რითიმე ეშველა მისთვის, მაგრამ რით?!

— ოვცინ, დაჯექი! — ბრძანა მასწავლებელმა. კომისიის წევრებმა რაღაც ჩაიწერეს ბლოკნოტებში და ერთმა მათგანმა შემდეგი გამოსაცდელის გვარი ამოიკითხა.

— გრიგოლ კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე!

— მე გახლავართ! — თქვა ოდნავ შემკრთალმა სერგომ და მაგიდას მიუახლოვდა.

— რა გიყვარს ყველაზე უფრო? — ჰკითხეს.

— სწავლა! — მიუგო სერგომ.

— კიდევ?

— ისევ სწავლა! — მტკიცედ თქვა სერგომ.

— ყველაზე ლამაზი ქვეყანა რომელია?!

— ჩემი სოფელი!

— აგვიწერე შენი სოფელი!

— ჩემი სოფლის ერთ მხარეს, — დაიწყო სერგომ აღტაცებით, — ხელთუქმნელი კლდის კედელია, კოჩორა ტყით თავდამშვენებული; მეორე მხარეს — ზურმუხტის მთებია, შუაში კვადოურა ჩამოურბის, ცივწყლიან-კალმახებიანი...

— რა არ მოგწონს შენს სოფელში?! — შეაწყვეტინეს თხრობა სერგოს. სერგო დაფიქრდა, სახე მოეღრუბლა და სევდიანად თქვა:

„ნოყიერ მიწებზე აზნაურები ცხოვრობენ, მწირზე — გლეხები!

— კმარა, კმარა, კეთილო ბავშვო! — შეაწყვეტინა სათვალიანმა მასწავლებელმა და ამოცანა მისცა ამოსახსნელად.

— იოლია! — თქვა სერგომ და ზეპირად ამოხსნა.

— დაჯექი, ორჯონიკიძე! — უთხრეს სერგოს. სერგო დაჯდა თავის მერხზე. გამომცდელები სიყვარულით უყურებდნენ. მხოლოდ ოვცინის ჭროღა თვალები უცქერდა შურით.

„ნოყიერ მიწებზე აზნაურები ცხოვრობენ, მწირზე — გლეხები“, — ამოიკითხა სერგომ ოვცინის რვეულში ჩაწერილი მისი ნათქვამი და გაოცებით ფიქრობდა: „რად ჩაუწერია, რად?!“ ფიქრი ზარის ხმამ შეაწყვეტინა. გამოცდა დამთავრდა.

დერეფანში სერგოს ტარასი ელოდა.

— ჰა, რას იტყვი?! — ჩაეკითხა ალერსიანად.

— ბრინჯივით დავიბენი! — მიუგო სიცილით სერგომ.

— ბრინჯივით კი არა, თავი ისახელა! — თქვა ამ დროს მათთან მოსულმა სათვალებიანმა მასწავლებელმა. — ოღონდ, — მასწავლებელი სერგოსკენ დაიხარა და ყურში უჩურჩულა: — ნოყიერ მიწებზე აზნაურების, მწირზე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების ცხოვრებაზე ალარაფერი სთქვა! — ტარასის კი ხმამაღლა უთხრა: — ეტყობა, კეთილი ბავშვია!

— მე კი არა, კეთილი თქვენ ბრძანებულხართ! — თქვა სერგომ.

— მე ანატომიის მასწავლებელი გახლავართ, ექიმი გედევანიშვილი. გრიგოლის დამრიგებელი ვიქნები. შეგიძლიათ დამშვიდებით წაბრძანდეთ. ყაბალახს და ბავშვის სამოსელს შემდეგ მოსვლაზე მოგართმევთ, — ეუბნებოდა ექიმი გედევანიშვილი ტარასის და კეთილად უღიმოდა.

— აბა, შენ იცი, სერგო, როგორ ჭკუით იქნები! — უთხრა ტარასიმ სერგოს და მხურვალედ გამოემშვიდობა.

## ისევ ოვცინის ჩანაწერი

სერგოს უკვე მოსწავლის ფორმა ეცვა. უხდებოდა კარტუზიანი ქუდი და კოპწია ქურთუკი. წიგნიც თითქოს მისთვის გაჩენილიყო, — მუდამ გაშლილი ეჭირა ხელში.



მაშინაც კი, როცა პირველკლასელებს სურათს უღებდნენ, წიგნი ხელში შერჩა.

— წიგნის ჭია! — დასცინოდა ოვცინი. იმ დღეს კი, ბიჭებთან ჩხუბში გამარჯვებულმა, სერგოს გასძახა:

— ეი, შენ, ყაბალახო, მოდი ერთი, გაგაბრტყელო!

— ჯერ კასტეტი დააგდე! — შეუძახა სერგომ და ხელი გადაუგრიხა. კასტეტი მიწაზე დავარდა.

— უუურე, თურმე რკინით გვჯაბნიდა! — იყვირა ვანუშა პოპოვმა, რომელსაც ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

— ერთი მაგას... — გამოქანდა რაჟდენ ჩხარტიშვილი.

— არ მიეკარო! — შესძახა სერგომ და ოვცინს ხელები გადაუგრიხა და დააჩოქა.

— აბა, ოვცინ, შენებურად დაიკიკინე!

ოვცინი ბრაზმორეულ თვალებს აბრიალებდა.

— დაიკიკნე-მეთქი, თორემ!..

— მეეე, მეჰეეე! — დაიკიკინა ტკივილისაგან გამწარებულმა ოვცინმა.

— ვაშაა! — იყვირეს ბიჭებმა.

რახანია სერგომ ოვცინს ხელი გაუშვა, ოვცინი კი ისევ დაჩოქილი იყო. იყო ერთი სიცილ-ხარხარი. სკოლის ზარმა შეწყვიტა მხიარულება. სკოლის ეზოსა და დერეფნებში სიჩუმე გამეფდა.

სერგო და რაჟდენ ჩხარტიშვილი მეორე მერხზე ისხდნენ, მათ წინა მერხზე კი ოვცინი იჯდა.

— მოუხდება უმცროსების დაჩაგვრისათვის! — უჩურჩულა რაჟდენმა სერგოს და უცებ პირი მოკუმა. საკლასო ოთახში მასწავლებელი პატიომკოვსკი შემოდიოდა.

— მასწავლებელო, შეიძლება მოგახსენოთ? — თქვა ოვცინმა ხელის აწევით.

— მომახსენე! — თავი დაუქნია პატიომკოვსკიმ.

— მოგმართავთ, როგორც რუსი რუსს!

— რუსობა აქ არაფერ შუაშია, განა პოპოვი რუსი არ არის? მე ფანჯრიდან გიცქეროდით. პატიოსნებაა, ოვცინ, საჭირო — თამაშშიც და ბრძოლაშიც! — მიუგო პატიომკოვსკიმ და გაკვეთილი დაიწყო.

სად არ ატარა მოსწავლეები რუკით და გლობუსით: ხან ყინულოვან ჩრდილოეთში, ხან მცხუნვარე ჯუნგლებში, ხან რუსეთის ტრამალებზე, ხან მყინვარწვერზე...

— ბუნება!.. რა დიდის მომცველია ეს პატარა სიტყვა! მას ყვავილების სურნელი ასდის, მასში ჭიკჭიკი ისმის ჩიტებისა, გრიალებს გრიგალი, ყალყზე დგებიან ტალღები, აშუქებს ცხრათვალა მზე! იცინის მთვარე, ციმციმებენ ვარსკვლავები, პურდება ოქროსთავთავა ყანა, ლაღობენ ცხოველები... და ყოველივე ამას განაგებს ბუნების მეფე — ადამიანი!

გატაცებით ხსნიდა გაკვეთილს მასწავლებელი. გატაცებით უსმენდნენ მოწაფეებიც.

— და, წარმოიდგინეთ, ბავშვებო, მრავალი მილიონი წლის წინათ ყოველივე ეს არ არსებობდა; არც ცა იყო, არც მზე, არც დედამიწა, ქაოსი იყო.

არაფერი არ ესმოდა სერგოს, არა, არ სურდა მოსმენა! რამ მოსპო, რამ დალუპა ეგზომ წარმტაცი სამყარო?! სიტყვების ნაწყვეტებიღა ესმის: ევოლუცია... ჟანგბადი... წყალი... სიცოცხლე... მკვრივდება დედამიწა, ჩნდება წყალი...

— წყალი და ჟანგბადი სიცოცხლეს ნიშნავს! — ამბობს პატიომკოვსკი.

და, ჩნდებიან მცენარეები... სერგოს ბუსუსა ბალახის შრიალი ესმის, ესმის პირველი ჩიტის გალობა, პირველი სიტყვა ადამიანისა... სერგოს გული უფართქალებს, შავი თვალები უბრწყინავს. უცებ ხელი ასწია.

— მასწავლებელო, შეიძლება გკითხოთ?!

— მკითხე, ორჯონიკიძევ!

— თქვენ ახსენეთ ქაოსი, ევოლუცია, წყალი, ჟანგბადი. სიცოცხლე, სამყარო... მერე ღმერთი? აკი მღვდელი ამბობს, ღმერთმა შექმნა სამყაროო?!

პატიომკოვსკიმ გაუღიმა, ერთხანს უცქირა, თითქოს ეუბნებოდა, სწორედ შენგან მოველოდი ამ შეკითხვასო. შემდეგ ადგა, წელში გაიმართა და გარკვევით წარმოთქვა:

— მეცნიერებას არ სჭირდება ღმერთი!

სერგოსათვის ყოველივე ნათელი და გასაგები გახდა, ყველაფერი, გარდა იმისა, — რად ჩაწერა რვეულში ოვცინმა პატიომკოვსკის ნათქვამი: „მეცნიერებას არ სჭირდება ღმერთი!"

რად ჩაწერა ნეტავი, რად?

## პატიომკოვსკის გაკვეთილები გაცდა

ზედიზედ სამჯერ გაცდა პატიომკოვსკის გაკვეთილები. მოწაფეები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული: ვინ რას სწავლობდა, ვინ რას იზეპირებდა! ოვცინს კოჭები ამოეღო, იწროდა და იძახდა:

— ალჩუ, თოხან! — და ყველაზე უფრო თვითონ იცინოდა.

სერგო მერხზე შემდგარიყო, ხელები გაეშალა და ლექსს კითხულობდა:

უცხო ქვეყანას გადავარდნილი
ვასრულებ ისევ მშობლიურ რწმუნებას,
და დატყვევებულ ჩიტს გალიაში
ვუბრუნებ ქვეყნად თავისუფლებას...

— ნეტავი როდის დაუბრუნებ შენ გალიაში დატყვევებულ ჩიტს თავისუფლებას?! — თქვა გესლიანი სიცილით ოვცინმა და კოჭები კვლავ აისროლა.

სერგომ ლექსის კითხვა შეწყვიტა და ოვცინს მიუბრუნდა:

— სულელი ხარ, აბა რა გითხრა!

— ლექსების ზუთხია! — შეჰღრინა ოვცინმა.

— შენ კი — სხვისი ნათქვამის მჯღაბნელი!

ოვცინი გველნაკბენივით შეხტა, შემდეგ დოინჯი შემოიყარა, თვალები მოჭუტა და სერგოსკენ წაიწია:

— რაო, რაო? გაიმეორე!

— სხვის ნათქვამს იჯღაბნი რვეულში!

— მაინც?

— მე გამოცდაზე ვთქვი, ჩვენს სოფელში მიწები სწორად არ არის განაწილებული-მეთქი და შენ ეს ჩაიწერე; პატიომკოვსკიმ ღმერთზე რომ თქვა, ისიც ჩაიწერე. რისთვის?

— აბა, აბა, ჩხუბი არ იყოს! — გაისმა კარებიდან. მოსწავლეები მიტრიალდნენ და დამრიგებელი გედევანიშვილი შერჩათ ხელში.

— დასხედით, ბავშვებო! ალექსანდრე ფელიქსის ძის მაგიერ მე ჩაგიტარებთ გაკვეთილს! — თქვა გედევანიშვილმა და გაკვეთილის მაგიერ სულ სხვა რამ წამოიწყო:

— ამ ქვეყნად ყველაფერი იმას გვეუბნება, რომ ერთმანეთი გვიყვარდეს, ერთმანეთის სიკარგე გვიხაროდეს, თქვენ, კი, ორჯონიკიძე და ოვცინ, რად უბღვერით ერთმანეთს მტრულად?

— ლექსების ზუთხია მიწოდა! — თქვა სერგომ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ რას იტყვი, ოვცინ? — იკითხა დამრიგებელმა.

ოვცინი დუმდა.

— მე ყველაფერი გავიგონე. არა ხართ მართალი, ერთმანეთისკენ რომ იწევთ. აბა, ხელი ჩამოართვით ერთმანეთს! სიყვარულისთვის მოვსულვართ ამ ქვეყნად, განა სიძულვილისთვის!

სერგოს სახე გაებადრა და ოვცინს ხელი გაუწოდა.

შესვენებაზე სერგო დერეფანში ოვცინს გამოეკიდა, უნდოდა ეთქვა დავივიწყოთ, რაც იყოო, მაგრამ ვანუშა პოპოვმა სტაცა ხელი და განზე გაიყვანა.

— იცი, რად ცდება გეოგრაფიის გაკვეთილები?

— რად?

— პატიომკოვსკი ციხეშია!

თითქოს თავში ჩაარტყესო, ისე შექანდა სერგო. ფერი ეცვალა, თვალები გაუფართოვდა.

— შენ რა იცი?

— პალტოების საკიდებელთან გავიგონე, დარაჯი რომ დეიდა მაშას ეუბნებოდა: საბრალო ალექსანდრე ფელიქსის ძე! როგორ დაიღუპაო?

— მერე, მერე?

— დარაჯმა, როგორ თუ დაიღუპაო, განა ვინც ციხეში მოხვდება, სამუდამოდ იქვე რჩებაო!

— აქამდე რად არ მითხარი?

— როდის მეთქვა? პალტო დეიდა მაშას რომ მივაბარე, მაშინვე შენსკენ გამოვქანდი, შენ კი ოვცინთან ძიძგილაობდი.

ოვცინის ხსენებაზე სერგოს უცებ გაუცივდა დამრიგებლის მიერ გამთბარი გული. სახე ისევ მოეღუშა.

„ალექსანდრე ფელიქსის ძე ციხეშია... აი, თურმე რად ცდებოდა მისი გაკვეთილები!“ — გაიფიქრა და, თითქოს ვიღაცას დაემუქრაო, მუშტი შეკრა.

## დროშა



ბორკილების გულშემზარავმა ჩხარუნმა ალიონზე გააღვიძა სერგო. ერთი ნახტომით ფანჯარასთან გაჩნდა, თვალებგაფართოებული დასცქეროდა მცველებით გარშემორტყმულ, თავგადაპარსულ, ხელფეხშებორკილ ტუსაღებს. ერთი ტუსაღი კოჭლობდა, ეტყობოდა, ბორკილს მისთვის ფეხი გაეხეხა; მეორე ყრუდ ახველებდა, მესამე, ჯერ კიდევ ჭაბუკი, მოხუცივით მოხრილიყო მხრებში.

— კატორღაში, ციმბირში! — წაიჩურჩულა ფერდაკარგული ტუჩებით სერგომ.

ერთ წუთს კიდევ იდგა გაქვავებული, შემდეგ სწრაფად ტანთ ჩაიცვა და აივანზე გავიდა.

აივნის წინ ანძასავით აღმართულიყო ალვისხე. იმ ალვისხისაკენ გადაიხარა სერგო. მოეხვია და ქვევით ჩასრიალდა, ბოლო ტოტს დაეკიდა. ტოტი მოტყდა და სერგო მიწაზე დაენარცხა. სწრაფად წამოხტა, შარვალ-ქურთუკი ჩაიფერთხა. გვერდის ტკივილისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— სადგურისაკენ, სადგურისაკენ! — აქეზებდა თავის თავს და გარბოდა, გარბოდა სულმოუთქმელად.

ერთ ქუჩაზე შედგა. ქუჩა სავსე იყო მუშა ხალხით. ქუჩის კალაპოტი ძლივს იტევდა ბობოქარი ხალხის მდინარეს.

ყველაზე წინ მიმავალ წვეროსანს დროშა მიჰქონდა.

„გაუმარჯოს თავისუფლებას!“ — ეწერა წითელ ნაჭერზე ცარცით. მიფრიალებდა დროშა, მიიმღეროდა ხალხი:

წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

აქ ქართველებიც იყვნენ, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც, რუსებიც...

სხვადასხვა ენაზე ერთი და იგვე ისმოდა:

— რად ასახლებენ ჩვენს ძმებს?

— მართალი სიტყვის თქმისათვის!

— მაშ, ვებრძოლოთ თვითმპყრობელობას!

— ყველას ვერ დაგვატუსაღებენ!

— ჩვენ მილიონები ვართ!

ერთი კაცი ფურცლებს ისროდა ზევით. „ძირს მტარვალი მეფე!“ — ეწერა იმ ფურცლებზე.

სერგომ იცნო ის კაცი: კამო იყო! აი, სად შეხვდნენ ერთმანეთს! ოჰ, როგორ სურდა სერგოს ეთქვა მისთვის, თუ რაოდენ მოხიბლულია მისი ვაჟკაცობით, მატარებელში რომ გამოიჩინა... მაგრამ განა კამოს ახსოვს იგი? რა მოულოდნელი შეხვედრაა!

უცებ კამო სერგოს მიუბრუნდა:

— მაშ მიგიღეს საფერშლო სკოლაში ორჯონიკიძე, ჰა?!

„მიცანით?“ — უნდოდა ეთქვა სერგოს, მაგრამ ახლა კამოს მხარდამხარ მიმავალი გრუზათმიანი ვაჟკაცი შეეკითხა სერგოს:

— ბიძიკო, თოფის სროლისა არ გეშინია?

თითქოს ამის თქმას ელოდაო, უეცრად სროლა ატყდა და კაზაკების ყიჟინაც გაისმა:

— რრრაზაიდის!

შემდეგ ყველაფერი აირია. კიდევ ცოტაც და, ქუჩა თითქმის დაცარიელდა, მხოლოდ ფურცლები ჩასრესილიყო აქა-იქ მიწაში... სისხლის ლაქები დროშის ნაფლეთებს ჰგავდა. დროშის ტარიც ეგდო გზაზე. დროშა კი... რა იქნა წითელი დროშა?!

. . .

შუაღამე გადასული იყო, როცა სერგო ალვისხეს აჰყვა და აივანზე ავიდა.

კიდევ ერთი ნაბიჯი და სერგო ოთახში შევა, საბანს წაიხურავს. ოჰ, როგორ მოუნდა ძილი!..

მაგრამ ეს ვინ ეძახის თითქმის ჩურჩულით?!

— სერგო, სად იყავი?

სერგოს კლასის დამრიგებელი გედევანიშვილი დაუდგა წინ. რა უპასუხოს სერგომ? იცრუოს? არა. სჯობს გაჩუმდეს. სერგოც ხმას არ იღებს, დამრიგებელი კი ისევ ჩურჩულებს:

— აქ პოლიცია იყო, სერგო. შენ გეძებდნენ... მე ვუთხარი, ბიძაშვილთან გავუშვი-მეთქი. საერთოდ, სანიმუშოდ დაგახასიათე. წავიდნენ, ვინ იცის, იქნებ დამიჯერეს. ახლა კი გასწი საწოლისაკენ! — ბრძანა გედევანიშვილმა და გაეცალა.

მაგრამ სერგომ ვერ მოასწრო ოთახში შესვლა.

— სერგო! — მოესმა ძახილი ქუჩიდან და სერგო ისევ ჩაეხუტა ალვისხეს, ისევ ჩაცოცდა ძირს.

აქ მას ის ელოდა, ვინც ამ დილით ფურცლების დასტებს თოლიებივით აფრენდა ქუჩაში.

— კამო! — აღტაცებით შესძახა სერგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამომ სერგოს მხარეზე დაადო ხელი.

— მითხრეს, რომ ერთი თმახუჭუჭა ყმაწვილი ყაზახებთან შეტაკების დროს ცხენებს ფეხებში გაუძვრა, ძირს დაგდებულ დროშასთან მიხოხდა, ტარიდან მოხსნა, უბეში ჩაიდო და მიიმალა. ეს შენ იყავი?

— დიახ, — მიუგო სერგომ და მოკრძალებით დახარა თავი, შემდეგ ქურთუკი გაიხსნა და ცარცით ნაწერი წითელი ნაჭერი კამოს გაუწოდა.

## საზღაური

სერგოს ოვცინზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. „პოლიციის ლექვია!“ — ფიქრობდა ბოღმამორეული. გადაწყვიტა ვანუშა პოპოვისა და ვიქტორ შარაშენიძისათვის გაენდო თავისი ეჭვი.

— იცით რა, ბიჭებო... — დაიწყო ერთ საღამოს სერგომ შორიდან.

— რა, სერგო?

— ერთი რამ უნდა გაგანდოთ!

ბიჭებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ამ დროს დერეფანში ზედამხედველი გამოჩნდა, რომელსაც უკან ოვცინი ასდევნებოდა.

— ბატონო ზედამხედველო, ბიძა მყავს ავად, ნება დამრთეთ წავიდე, ვინახულო! — შესთხოვდა ღრეჭით.

— ნებას გრთავ! — მიუგო ზედამხედველმა. ოვცინმა კიბე ჩაირბინა.

„სად მიიჩქარის ასე თავქუდმოგლეჯილი? — გაიფიქრა სერგომ და თან კედლის საათს შეავლო თვალი, — არა. აქ სხვა რამეა“.

სერგო ადგილს მოსწყდა.

— საით? აკი რაღაც უნდა გაგენდო?! — ქურთუკში ხელი წაატანა ვიქტორმა.

— დაიცათ, ჯერ დავრწმუნდე! — წასჩურჩულა სერგომ მეგობრებს, აივანს მიაშურა და ნაცადი ხერხით ძირს ჩაცოცდა.

ფრთხილად მიდიოდა ოვცინი, უფრო ფრთხილად მისდევდა მის კვალს სერგო. „სად მიდის ნეტავ, იქნებ მართლაც ბიძასთან?“ — ამ ფიქრში იყო სერგო, ოვცინი რომ ფარნებით განათებულ ფართო ქუჩაზე გავიდა და ერთ შენობასთან შეჩერდა.

— პოლიცია, პოლიცია! — ორჯერ გაიმეორა სერგომ აბრის წარწერა.

შესასვლელთან მდგარმა ჟანდარმმა ოვცინის მისალმებაზე ქუდთან მიიტანა ხელი.

„დახე, როგორ შინაურივით შედის! — გაიოცა სერგომ და კბილები დაალრჭიალა. — შესვლა შენი იყოს, გამოსვლა ჩემი, ისე მიგბეგვო, ისე... გაზღვევინებ პატიომკოვსკის პატიმრობას“. სერგომ პოლიციის შენობას აუარ-ჩაუარა. შენიშნა, რომ შენობას უკანა მხარეს თალი ჰქონდა.

სერგო ღობეს გადაევლო და ხეზე აცოცდა. აქედან პოლიციის ეზო მოჩანდა. ბაღის მხრის ფანჯარა ღია იყო. ორსართულიანი სახლის კუთხის ოთახში საწერ მაგიდას ულვაშებაწკეპილი ბოქაული მიჯდომოდა და თავი ქაღალდებში ჩაერგო.

„აქ რა მინდოდა, სადარბაზო კარიდან უნდა მეთვალთვალა ოვცინისათვის. თუ გამასწრო, ამ ცხელ გულზე მიბეგვას გადარჩება“. — გაიფიქრა სერგომ და ის იყო ძირს ჩაცოცება დააპირა, რომ ოთახში ოვცინი შევიდა და ბოქაულს თავი დაბლა დაუკრა.

— გეახელით, ბატონო!

— რას გვიბრძანებთ? — ჰკითხა ბოქაულმა თავაუწევლად.

—გასამრჯელო მერგება, ბატონო! — დაეღრიჯა ოვცინი ბოქაულის მელოტ თავს.

— გასამრჯელო? — კვლავ თავაუღებლად გაიმეორა ბოქაულმა ოვცინის ნათქვამი.

— დიახ, გასამრჯელო!

— მიიღებ! — თქვა ბოქაულმა გამყინავი ხმით, კალამი სამელნესთან დადო და ოვცინს მიაჩერდა.

— მაშ ასე, პირველი: ორჯონიკიძეს ის კი არ უთქვამს, თავადაზნაურებს ნოყიერი მიწები აქვთ, გლეხებს კი — მწირი მიწები და ეს არ მომწონსო, პირიქით, მომწონსო, — უთქვამს. ასე გავიგე სკოლაში. ტახტის აზნაურიშვილი სხვანაირად არც იტყოდა, ღვთისაგანაც ასეა დადგენილი...

— კი მაგრამ...

— მეორე: — განაგრძო ბოქაულმა, — მეორეც ის, რომ უფალ ღმერთს დიახაც არ სცალია თქვენი პითაგორას თეორემისათვის...

— კი მაგრამ...

— გასამრჯელო გნებავს? — შეაწყვეტინა ბოქაულმა ოვცინს.

— დიახ!

ბოქაულმა ულვაშები ააცმაცუნა და დარეკა.

ოთახში ჩაფარი შემოვარდა და ბოქაულს გამოეჭიმა.

— გაროზგეთ ეს ყეყეჩი, ცრუ ცნობების მოწოდებისათვის! — ბრძანა ბოქაულმა.

ატირებული ოვცინი გაათრია ჩაფარმა.

— დამეკარგე, თვალით აღარ დამენახო, — მიაძახა ბოქაულმა ოვცინს.

„ესეც ასე!“ — გაიფიქრა სერგომ და ის იყო ძირს ჩასვლა დააპირა, რომ უცებ ფეხები ხეზე მიეყინა, თვალები ფანჯარაზე მიუშტერდა: ბოქაულის ოთახში პატიომკოვსკი შეიყვანეს.

ბოქაული თავაზიანად შეეგება მას და თავი დაუკრა.

— თავისუფალი ბრძანდებით, შეგიძლიათ წაბრძანდეთ და თქვენს საქმეს მიუბრუნდეთ!

პატიომკოვსკი დუმდა.

— იმედია, გვაპატიებთ. ჩვენ შეგვაცდინეს.

უსიტყვოდ გავიდა პატიომკოვსკი, ბოქაულისათვის ზედაც არ შეუხედავს. სერგოც ძირს ჩასრიალდა და ქუჩაში გავარდა.

## ღამის სტუმარი

სერგომ ჯერ ოვცინის დადევნება განიზრახა, ვკითხავ. ბიძაშენი როგორ დაგიხვდაო, მაგრამ გზაზე პატიომკოვსკის გამოჩენამ ყველაფერი დაავიწყა.

თავჩაღუნული მიდიოდა პატიომკოვსკი. სიარულიც დამძიმებოდა. არა, ეს ის პატიომკოვსკი არ იყო, გაკვეთილებზე ცოდნის ჩირაღდნად რომ ენთებოდა, რათა ყველა მოსწავლეს მისი ნათქვამი თანაბრად ჩასწვდომოდა გონებაში.

ო, როგორ უნდოდა სერგოს, მისულიყო მასთან და ალერსიანად შეხმიანებოდა: მასწავლებელო, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო!

მაგრამ არა, ასე სჯობს, შორით მიყოლა. იქნებ შეაკრთოს, იქნებ არ გაუხარდეს. სერგოს რომ არაფერი ეკითხა იმ წყეულ ღმერთზე...

უეცრად პატიომკოვსკი დაბარბაცდა. ხეს მიეყრდნო და თავი ჩაქინდრა.

— იზვოზჩიკ! — დაუძახა სერგომ მეეტლეს, —მიშველეთ, ძმა ცუდად გამიხდა!



მეეტლე კოფოდან გადმოხტა. ჯერ პატიომკოვსკის მიაჩერდა, მერე სერგოს, თავი გადაიქნია და მოკლედ მოუჭრა:

— კონეცი აბაზი ღირს, გინდ ერთ ნაბიჯზე გატარო, გინდ ერთ ვერსზე.

სერგოს სწორედ აბაზი ჰქონდა ჯიბეში, ტარასიმ რომ აჩუქა გამოცდების ჩაბარების შემდეგ. სერგომ სასწრაფოდ ამოიღო აბაზიანი და ახმახ მეეტლეს ხელში შეაჩეჩა.

— ა ნუ, დრუჟოკ, ა ნუ! — მეეტლემ პატიომკოვსკის, მხრებში ხელები ჩაავლო და ჩიტივით აიტაცა.

კიდევ წუთი და, სერგო მის გვერდით ეტლში მჯდარ პატიომკოვსკის ქუდით სახეს უნიავებდა.

მეეტლე კი უძრავად იდგა, ბოლოს დაიგუგუნა:

— კუდა პრიკაჟეტე!

— ჯერ პირდაპირ, აი. იმ ქუჩით! — თქვა სერგომ დაბნეულად. სხვა რა ეთქვა, როცა არ იცოდა პატიომკოვსკის მისამართი.

ეტლი დაიძრა. პატიომკოვსკიმ ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა.

— ორჯონიკიძე! — თქვა სუსტი ხმით და გაუღიმა.

— მასწავლებელო, სად ცხოვრობთ? — ჩურჩულით ჰკითხა სერგომ.

— აჰ, მართლა, ახლა მე ხომ კვლავ მოქალაქე ვარ, კვლავ მაქვს ბინა და მისამართი! — თქვა პატიომკოვსკიმ ღიმილით და მეეტლეს მკაფიოდ გასძახა:

— ჩუღურეთის ქუჩა, № 5.

იმ ვიწრო ქუჩაში ძლივს გაიმართა ეტლი. მაგრამ დანიშნულ ადგილამდე მაინც მიიყვანა მგზავრები.

პატიომკოვსკის საცხოვრებელი ოთახი დარაბას უფრო ჰგავდა. სამი კედელი წიგნის თაროებს ეჭირა. ერთი კედელი ხალიჩას დაეფარა. იქვე ეკიდა ყანწები და ხმლები. ტახტიც ქართულად იყო მორთული — მუთაქა-ბალიშებით.

— მიყვარს საქართველო! — თქვა პატიომკოვსკიმ. — ეს ლამაზი ქვეყანა კი განდევნილების მხარედ აქციეს რუსეთის მეფეებმა.

— თქვენც გამოდევნილი ხართ?

— ასე გამოდის, მაგრამ ამაზე სხვა დროს. გახსოვს, შენ გამოცდაზე სთქვი, სწავლა მიყვარსო. უნდა ისწავლო, ისწავლო! ლამაზად კი წაგვიკითხე მაშინ „ზამთრის საღამო“, მაგრამ იცი ვინ იყვნენ დეკაბრისტები?

— არა! — გაიქნია თავი სერგომ. — სკოლის ბიბლიოთეკაში ასეთი წიგნი არ არის!

— არც იქნება! — პატიომკოვსკიმ გაიცინა. შემდეგ სულ ხმადაბლა უთხრა:

— შენ არც ის იცი, რომ სკოლაში „მსდწ“ არსებობს?

— ეს რა არის?

— მოწაფეთა სოციალ-დემოკრატიული წრე. იქ გაიგებ ყველაფერს.

— მერედა, ვის უნდა მივმართო?!

— მე მივმართავ, მე დაგიდგები თავდებად. ახლა კი დროა წახვიდე, თორემ პანსიონში არ შეგიშვებენ. — პატიომკოვსკიმ საათს დახედა და ხელი ხელს შემოჰკრა,

— აუჰ, რა ხანი გასულა! ახლა რაღა დროს წასვლაა. აქ მოგიწევს დარჩენა.

პატიომკოვსკიმ სერგოს ტახტზე გაუშალა ლოგინი, თვითონ დივანზე დაიგო.

დაწვნენ, მაგრამ ძილი არ ეკარებოდათ.

— რამდენი წლისა ბრძანდებით? — ჰკითხა სერგომ მასწავლებელს.

— იმდენისა, რამდენისაც პუშკინი იყო, დუელში რომ მოკლეს.

— აა! — გააგრძელა სერგომ.

— შენი სოფლის სილამაზეს რომ მოგვითხრობდი, ასე მეგონა, დედის ნანას ვუსმენდი! — თქვა პატიომკოვსკიმ.

— მე დედა არა მყავს, არც მამა! — სერგოს ხმაში სევდა გაისმა.

„შვილი რომ მყოლოდა, სერგოს კბილა იქნებოდა“, — გაიფიქრა პატიომკოვსკიმ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე საკუთარმა ფიქრებმა გაიტაცა და მალე კიდეც ჩაეძინათ.

## დაბადების დღე

წარმტაცია თბილისური შემოდგომა. დინჯად მოჭრიალებენ ურმები. რა არ მოაქვთ გლეხებს სოფლებიდან,

— ბარაქას გაუმარჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს! — ილოცებიან აქაიქ.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — ესალმებიან გლეხები გზად შემხვედრ ქალაქელებს.

— გაგიმარჯოთ! — სალამს უბრუნებენ ქალაქელებიც.

სერგო არაფერს არ ამჩნევს. იგი საკუთარ თავთან საუბრით არის გართული:

„შენ მიგიღეს მოსწავლეთა მარქსისტულ წრეში, გენდვნენ ბიჭები!“

„ნდობას გავამართლებ, ვფიცავ!“

„დიდი მდინარის წვეთი ხარ ამიერიდან, რევოლუციის მდინარისა!“

„ვფიცავ, მუდამ ანკარა ვიყო, ვფიცავ!“

„ხალხის საქმისთვის თავის დადება რომ დაგჭირდეს, არ უნდა შედრკე“.

„არ შევდრკები, ვფიცავ!“

სერგო ფიქრებიდან არღნის „ტუია-ტუიამ“ გამოიყვანა. — „ორთაჭალის ბაღში მნახე ვიინა ვარ!“ — ღრიალებდა ეტლში გაშხლართული ვიღაც ვერცხლისქამარ-ხანჯლიანი.

— „დარდიმანდის ლხინში მნახე ვიინაა ვაარ!“

— „ტუია-ტუია“—მისძახოდა არღანი მეორე ეტლიდან. უცებ, ქამარ-ხანჯლიანი ეტლიდან გადმოიხარა და გლეხის წამოჩიტულ გოგონას წაატანა ხელი. გოგონამ იწივლა. გლეხებმა ჩოჩქოლი ატეხეს, მაგრამ ადგილიდან დაძვრაც ვერავინ მოასწრო, ისე სწრაფად გამოსტაცა სერგომ თავხედ ვაჟბატონს გოგონა. მერე ეტლს დაედევნა.

— ქვეყანა შენი გგონია, მაგრამ არ არის შენი! — უყვიროდა ბრაზმორეული. ის იყო, უნდა მისწვდომოდა ქამარ-ხანჯლიანს, რომ მოულოდნელად ვიღაცამ ხელი სტაცა.

—რას სჩადიხარ, თუ იცი, რას ერჩი კნიაზს?!

სერგოს წინ კოპწიად გამოწყობილი, ვიღაც ციცქნაულვაშებიანი იდგა.

— თქვენ ვინ გკითხავთ?! — შეუყვირა სერგომ.

— სწორედ რომ მეკითხება! — მიუგო ბატონმა და მთვრალ ვაჟბატონს უშველა, მოხერხებულად მისწოლოდა ეტლის ბალიშს, თან ქაღალდების დასტა ჩატენა ეტლის დაკეცილ გადასახურავქვეშ მერე მეარღნეს აუხტა ეტლზე, რაღაც უჩურჩულა და იქაც დატოვა ქაღალდები.

„ჯაშუშია, ნამდვილად ჯაშუშია... აკი მითხრა ვიქტორმა, ფრთხილად იარეო“, — გაუელვა სერგოს და ურემს მოაფარა თავი.

— უთხარი, ტასო, შენს გადამრჩენელს მადლობა, უთხარი! — უბიძგებდა ერთი დედაკაცი გოგონას სერგოსაკენ.

გოგონა მადლიერი თვალებით შესცქეროდა სერგოს და ვერაფერს ვერ ამბობდა.

უეცრად სერგოს ვიღაცამ ხელი გაჰკრა. მიტრიალდა და ისევ ის ციცქნაულვაშებიანი ბატონი შერჩა ხელში.

— რა გნებავთ ჩემგან?! — წარბი შეიკრა სერგომ.

— ერთად ვიაროთ, მეტი არაფერი!

„ჯაშუშია, ჯაშუში“, — ისევ გაუელვა სერგოს, ხელიდან გაუსხლტა და მოკურცხლა. უკან მხოლოდ ერთხელ მიიხედა, მოსახვევიდან. უცნობი ბატონი ურმებს შორის დადიოდა და სერგოს ასე მოეჩვენა, რაღაცას სტოვებდა ურმებზე.

აქოშინებულ სერგოს ავჭალის ქუჩაზე მდებარე კლუბის კარებთან ვიქტორ შარაშენიძე დახვდა.

— ვიქტორ, იცი რა...

— პაროლი! — ცივად მოუჭრა ვიქტორმა.

— ჭექა-ქუხილი! — მიუგო სერგომ და დარბაზში შევიდა. აქ უკვე შეკრებილიყვნენ „მსახიობები“. ვინ — მღეროდა, ვინ — ცეკვავდა, ვინ — ლექსს ამბობდა.

— სადომ ი გომორა, გალდიატ, გალდიატ! — ჩაიქნია ხელი რეპეტიციაზე შესულმა გოროდოვოიმ და გასასვლელს მიაშურა. და, ჰოი, საკვირველებავ, სერგო პირისპირ არ შეეფეთა დარბაზში შემომავალ იმ ბატონს, წეღან რომ ძლივს დააღწია თავი! გოროდოვოი მხედრული სალმით მიესალმა იმას.

— დრასტტე გოსპოდინ არტისტ!

ბატონმაც ქუდთან მიიტანა ხელი.

სერგო ვიქტორს მივარდა და ყურში უჩურჩულა:

— ჯაშუშია, აი ვინ ამეკიდა გზაში, ეს უნდა მეთქვა შენთვის.

ვიქტორმა გაოცებით შეხედა სერგოს, მაგრამ სერგო უფრო გაოცდა, როცა ბატონმა პიჯაკიც გაიხადა და გახამებული გულსაფრის ქვეშ ლურჯი სატინის ბლუზა გამოუჩნდა. ასეთი ბლუზები ახალთაობის კაცებს ეცვათ.

— გაგიჟდი? ეს ხომ ამხანაგი ლადო კეცხოველია! — უჩურჩულა ვიქტორმა სერგოს და მუჯლუგუნი გაჰკრა, სისულელეებს ნუ როშავ, ჭკუით იყავიო.

— არასოდეს არ მინახავს და... — ჩურჩულითვე მიუგო სერგომ, მაგრამ ლადომ მაინც გაიგონა.

— არ გინახივარ? — თქვა მან სიცილით და ულვაშები მოიძრო, „კატელოკიც“ მაგიდაზე დააგდო.

სერგომ იცნო.

— იქ... ალიონზე... კატორღელებს რომ გზავნიდნენ, ვაგზლის მოედანზე, კამოს გვერდით მოდიოდით... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა დაბნეული და დარცხვენილი.

— დიახ, ორჯონიკიძე, მიცანი, განა? მე კი მაშინვე გიცანი. შენ არ გადაგვირჩინე დროშა? ბარაქალა, ბიჭი შენა ყოფილხარ! -- უთხრა ლადომ სერგოს ღიმილით და მხრებზე ხელები მოჰხვია.

სერგო განაბულიყო, თითქოს სურდა, მშობლიურ ფრთებს შეფარებული უფრო დიდხანს გამთბარიყო ხავერდოვანი ხმის და თვალების სითბოთი. ამასობაში ლადო სცენაზე ავიდა.

— ვაშა ჩვენს ლადოს! — გაისმა დარბაზში ერთხმად.

ლადომ ხელი ასწია, დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, ძმებო, ლენინურ „ისკრას“ თანამებრძოლი შეეძინა! მოგილოცავთ გაზეთ „ბრძოლის“ დაბადებას!

ლადო გაჩუმდა, მისი ხმა კი მსმენელთა გულში ისევ ჟღერდა და დროშასავით ფრიალებდა ლადოს ხელით მაღლა აწეული „ბრძოლის“ პირველი ნომერი.

„აი, თურმე რას სტოვებდა ეტლებში, გლეხების ურმებში... აი, ვისგან უნდა ვისწავლო!“ — ფიქრობდა სერგო და სხვებთან ერთად ისიც მხურვალედ უკრავდა ტაშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ წყვდიადი ღამე დახვდათ ცრუ მსახიობებს.

— ქურდს რა უნდა და, ბნელი ღამეო. — იხუმრა ერთმა.

— ქურდიცა ხარ და მეტიც! — აენთო სერგო.

— მთქმელს გამგები უნდა, — იყო პასუხი. ახლა ამაზე ახირდა სერგო.

— ჩვენს საქმეში სიფიცხე არ გამოდგება, სერგო! — თქვა რაჟდენმა.

— მიწუნებთ?

— პირიქით, აი, მე წლეულს ვამთავრებ სკოლას, ნოე ტაბიძეც თითქმის უკვე ფერშალია, შენ უნდა გასწიო ჩვენი მაგივრობა.

— როგორ, წრის ხელმძღვანელობა?

— რატომაც არა, წრის წევრების აზრი ვიცით, აგირჩევენ კიდეც.

—თუ ფიცხი ვარ?!

— არა უშავს, გამოსწორდები! — უთხრა რაჟდენმა სიცილით.

დუმილი ჩამოვარდა. „ხალხის საქმისათვის თავის დადება რომ დაგჭირდება, არ უნდა შედრკე“, მოაგონდა სერგოს თავის თავთან ნაუბარი, ხმამაღლა კი თქვა:

— ბიჭებო, ვფიცავ, რომ თქვენს ნდობას გავამართლებ!



## არც ცეცხლში იწვის, არც წყალში იძირება

გვიანი ღამე იყო. სერგო მამადავითის მთისაკენ მიიჩქაროდა, თან ცდილობდა, რაც შეიძლება ჩუმადევლო. ის ფურცლები, თავზე რომ ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, მამადავითის ფერდობზე, კლდეში გამოკვეთილი წყალსაცავის ქვეშ იბეჭდებოდა. რამდენჯერ მოსულა სერგო აქ ამ ფურცლების წასაღებად!

წყალსაცავის ერთადერთი მოხუცი დარაჯი მხიარულად ეგებებოდა სერგოს, მთავარ საწყობში, ანუ თვითონ წყალსაცავში, მიჰყავდა. ტბასავით ლივლივებდა დაგუბებული წყალი. ნავში კი სანუკვარი ფურცლები ეწყო.

— გასწით, გაფრინდით, ქვეყანას სიმართლე მოჰფინეთ! — ეტყოდა მოხუცი პროკლამაციებს და სერგოს ჩააბარებდა.

აგერ სადარაჯო ჯიხურიც, სერგო სარდაფის ჩასასვლელში ჩაძვრა. ძლივს გაატანა ვიწრო საძრომში და წყალსაცავის კარს მიადგა.

— მე „ნალი“ ვარ, — გასძახა სამჯერ. პასუხი არ იყო. დააბრახუნა, ხმა არავინ გასცა. კარს იქიდან წყლის შხუილი ისმოდა.

— პაპა, პაპა გერასიმე! — გასძახა სერგომ კარის გაღების ჭრილში. პასუხი არ იყო,

„ეტყობა, პაპა გერასიმეს რაღაც უჭირს“, — გაუელვა სერგოს და მთელი ძალით კარს მიაწყდა. ბეჭიც ეტკინა, მხარიც, მაგრამ მაინც ზედიზედ ეჯახებოდა გაჯიუტებულ კარს.

ბოლოს შელეწა.

აი, აუზში ჩასასვლელ კიბემდე მიაღწია. ძირს ჩაიხედა. ნავი გადაყირავებულიყო. აღელვებულ წყლის ზედაპირზე თოლიებივით დაფარფატებდნენ ფურცლები. მოხუცი გერასიმე ცდილობდა ხან ერთ ონკანს მისწვდომოდა, ხან მეორეს, მაგრამ ადიდებული ტბა ვერ გადაელახნა.

— პაპა გერასიმე, რა მოხდა?! — დაუძახა სერგომ.

— დავიღუპეთ, დავიღუპეთ, ორგანიზაცია ჩავაგდე! — შეჰყვირა მოხუცმა და თავში მუშტები წაიშინა.

სერგომ მყისვე ტანთ გაიხადა და წყალში გადაეშვა. ნავს მისწვდა და თავისკენ გამოსწია.

— აჰა, პაპა, აჰა! — აწოდებდა სერგო მოხუცს სველ დასტებს. ონკანებიც გადაკეტა და მოხუცს შეეკითხა:

— რატომ გახსენი ყველა ონკანი?!

— ქალაქისათვის ბევრი წყალი უნდა გამეშვა და, აი, რა მოხდა! დავიღუპეთ, წყალი მილებით ფურცლებს ქალაქში ჩაიტანს! — ვიშვიშებდა მოხუცი.

— ჯერ აქაურობას მივხედოთ— თქვა სერგომ და დატრიალდა. სულ მალე იქაურობა ყოველივე საეჭვოსაგან დაცლილი იყო.

— სტამბა? სტამბას რა ეშველება? აქ თუ მოვლენ, ხომ მოაგნებენ...

სერგო დაფიქრდა.

— ეშველება, პაპა გერასიმე, რაიმეს ვიღონებ! — თქვა ბოლოს და პაპას ჯიხურში თავისი ქურთუკი და ქუდი შეინახა. თვითონ პაპა გერასიმეს დახეული, სოფლური

ჯუბა ჩაიცვა, თავზე ყურებიანი ქუდი ჩამოიფხატა, ერთი დასტა ფურცლები უბეში ჩაიდო და წავიდა.

• • •

გათენდა თუ არა, ბოქაულს ბინაში გოროდოვოი გამოეცხადა.

— თქვენო აღმატებულებავ, ქალაქის წყალსადენს პროკლამაციები მოაქვს!

— რას რომავ!

— აი, ინებეთ! — გოროდოვოიმ სველი ფურცელი გაუწოდა.

„ძირს ჯალათი მეფე და მისი მსახურები!“ — ეწერა ფურცელზე.

— შენ წყლის „კოლონკისკენ“ გასწი!, — უბრძანა ბოქაულმა გოროდოვოის, — ჩემს მოსვლამდე ფხიზლად იყავი!

— დიახ, ფხიზლად ვიქნები, — შეჰყვირა გოროდოვოიმ, ჩექმის ქუსლები ერთმანეთს მიარტყა და ოთახიდან გაბრახუნდა.

არ გასულა დიდი დრო, რომ ეტლმა წყლის „კოლონკასთან“ ბოქაული მოაგრიალა.

გოროდოვოი სახედაღვრემილი დახვდა.

— თქვენო აღმატებულებავ, ონკანს ფურცლები უკვე აღარ მოაქვს! — მოახსენა მგლოვიარე ხმით.

ბოქაული ონკანის ირგვლივ დალაგებულ სველ ფურცლებს დასცქეროდა და რაღაცას დაჟინებით ფიქრობდა.

— ფანდია, ფანდი, განგებ არის აქ დალაგებული...

— ჩემი თვალით ვნახე, თქვენო აღმატებულებავ, ონკანის წყალს ფურცლები რომ მოჰქონდა...

— რას ბოდავ! — უყვირა ბოქაულმა, — ალბათ გეძინა შენს ჯიხურში და გესიზმრებოდა.

— კი მაგრამ, ეს ფურცლები აქ საიდან გაჩნდა? — თქვა გოროდოვოიმ.

— საიდან? თვალების ასახვევად!

ბოქაულმა ცოტა მოშორებით დაგდებული პარკი დაინახა, რომელშიაც სპარსულ ქიშმიშ-ლაბლაბოს ნარჩენებთან ერთად პროკლამაციაც იყო.

— ბაზრისკენ! — ბრძანა ბოქაულმა და ეტლი ადგილს მოსწყდა. ბაზარში ბევრი პროკლამაცია ნახეს, ჰალვით თუ რახათ-ლუხუმით სავსე პარკებში ჩადებული.

— აბდულ ბეის დუქანში ვიყიდეთ, — უპასუხებდნენ პარკების პატრონები.

აბდულ ბეის დუქანში მართლაც აღმოჩნდა ერთი დასტა პროკლამაცია.

— კითხვა არ ვიცი, ალაჰს ვფიცავ, ერთმა ბიჭმა შემომაჩეჩა „შაქრის მამალოს“ ფასად. იმ ბიჭს რუსული ჯუბა აცვია, ყურებიანი ქუდი ახურავს, დავიჭერ, ალაჰს ვფიცავ! ჩემი ხელით ჩაგაბარებთ ან ბიჭს, ან ათ ლირას!

ფურცლებს ახლა ყველამ მიაქცია ყურადღება. შლიდნენ, კითხულობდნენ...

— ცეცხლში შეყარეთ, წყალს გაატანეთ! — დასჭყივლა ბოქაულმა.

— სიმართლე არც ცეცხლში იწვის, არც წყალში იძირება! — გაისმა პასუხად ხალხიდან.

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ! — სჭექა ბოქაულმა. ჩაფრები ხალხს ეცნენ, მაგრამ ვერავის ვერ ჩაავლეს ხელი.

მოედნის ვიწრო ქუჩიდან სერგო გამოვიდა, ხელში საწიგნე ეჭირა.

— სიმართლე არც ცეცხლში იწვის, არც წყალში იძირება. — იმეორებდა ხმადაბლა და მტკიცე ნაბიჯებით მიჰყვებოდა ქუჩას.





# ეტიუდი

# [illegible]

მირონ ხერგიანი

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა

ცოტაც და ვაზისუბანში შევალთ.

მძღოლმა მარცხნივ მოატრიალა საჭე, მთავარი გზიდან გადაუხვია და სოფელს აუყვა, კარგა მანძილზე გასცდა... ტანაყრილ ფიჭვებთან გაჩერდა.

შარაგზის ყურისწამღები ხმაურიდან უეცრად სიჩუმეში მოვხვდით. მანქანების ხმა ველარ აღწევს აქამდე. ყველაფერი დუმილს მოუცავს. დუმილი თითქოს გასულიერებულა, შეგიძლია ხელით შეეხო, ფორმა მოუსინჯო, დაინახო. ჩვენც ვდუმვართ, ირგვლივ გამეფებული სევდიანი განწყობილება გვეუფლება. უხმოდ, ნაღვლიანი მზერით ვათვალიერებთ ნარგავებს, ჯერ კიდევ ტანაუყრელ, მხრებგაუშლელ ფიჭვის ხეთა რიგებს, ჯარისკაცებივით რომ ჩამწკრივებულან, სმენად ქცეულან. ისინი ხომ მართლაც ჯარისკაცები იყვნენ, ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცები. მაგრამ — „მამაცნი არა კვდებიანო...“ ისინი მკვდრეთით აღსდგნენ, მხედრულ მწყობრში თავთავიანთი ადგილები დაიკავეს და შინისაკენ გამოსწიეს. ოცი წელი მოალაჯებდნენ ტყე-ღრეებში, მოუჩქაროდათ მშობლიური სოფლისაკენ და... აი, ისიც...

„— გამარჯობა ჩემო სოფელო, გამარჯობა ძვირფასო დედავ, მეზობლებო და ნათესავებო, კარპატის მთებიდან ჩამოვედი თქვენს სანახავად...“ — ამბობს მწყობრის თავში ჩამდგარი ახოვანი ვაჟკაცი ზურაბ მეკოკიშვილი...

„— გამარჯობათ... გამარჯობათ... გამარჯობათ...“ — ესალმებიან ერთხმად მშობლიურ ველებს, კარ-მიდამოს, დედ-მამას სხვები. სოფლისაკენ შეტრიალებულან ძმები ნიკოლოზ და ზალიკო კანაშვილები... გულისფანცქალით ელოდებიან, როდის გაიღება კარგად ნაცნობი ჭიშკარი და იქიდან შუბლდაღარული, წელში მოხრილი, თმაჭაღარა მოხუცები გამოჩნდებიან, მაღლა ამოუყვებიან სოფლის შუკას, მათ წინ ჩაიმუხლებენ და პატარა ბავშვებივით მოეფერებიან. ნიკოლოზს და ზალიკოს კარგად ახსოვთ ოცი წლის წინათ გაგზავნილი უკანასკნელი წერილები, მაშინ მათ თოფები ეპყრათ ხელში და მტერს რისხვას უთვლიდნენ, მაშინ ისინი ცოცხლები იყვნენ:

„—რახან წერილი დავაგვიანე, თქვენ ალბათ გგონიათ მოვკვდი, არა? არა, დედი, მე ცოცხალი ვარ... მე, ასე მგონია აღარასოდეს მოვკვდები... სწორედ გუშინწინ 24 ფაშისტი გამოვასალმე წუთისოფელს... ჩვენმა მეთაურმა ორდენზე წარმადგინა... გწერთ თქვენი ზალიკო“.

ნიკოლოზი კი იტყობინებოდა:

„პოლონეთი უკვე გავანთავისუფლეთ. მაგარი ბრძოლა გადავიხადეთ. დედი, მე სამი ტყვია მომარტყეს იმ წყეულებმა, ორი თავში მომხვდა, მაგრამ მუზარადი მეხურა და ვერ გაიარა, ერთიც მხარში მეტაკა, მე თვითონ გამოვიღე ჩემის ხელით ტყვია, ახლა აღარაფერი მეტყობა... ამხანაგები იცინოდნენ — მართლაც ძაღლის ბედი გქონიაო. მოკითხვა ყველას. ჩემზე ნუ იდარდებთ...“

...„მე ასე მგონია, აღარასოდეს მოვკვდები“...

იქვე მწყობრში ჩამდგარა უწვერულვაშო ბიჭი, ვაზისუბნელი არჩილ მამისაშვილი. მას უკან მოჰყვებიან ნიკოლოზ იაშვილი, გიგა ნადირაძე, აკაკი ბერიკაშვილი და სხვანი და სხვანი... იმ მრისხანე წლებში ვაზისუბნიდან ექვსასმა ვაჟკაცმა აისხა იარაღი მტერთან საბრძოლველად. მაგრამ... მშობლიურ სოფელს განახევრებული ლაშქარი დაუბრუნდა.

გვარები, სახელები, მამის სახელები... ხეებზე მიკრული ხის ფირფიტები ძუნწად იტყობინებიან შინმოუსვლელთა საგმირო საქმეებს, მათი ფრონტული ცხოვრების ეპიზოდებს... ხეივანი ჩათავდა. იარაღასხმული ფიჭვები უკან დარჩნენ. დაბლა დავუყევით სოფლისაკენ. საიდანღაც სამწყობრო მარშის ხმა მოდიოდა, საბრძოლო დაფდაფებს უკრავდნენ თითქოს...

## როგორ გავხდეთ მოწინავენი...

შორიდანვე დავინახეთ ვაზისუბნის საშუალო სკოლის ჭიშკართან აღმართული ლამაზი ობელისკი. ოთხი მეტრის სიმაღლის რკინაბეტონის ნაცრისფრად მოპირკეთებულ სვეტს თავზე მოვარაყებული ასოებით ეწერა: „საბჭოთა კავშირი ორმოცდაათი წლისაა“

აი, სკოლის სამსართულიანი შენობაც.

მესამე სართულზე პიონერთა ოთახი მოსწავლეებით არის სავსე. ისინი თავთავიანთ მაგიდებთან მიმსხდარან და საქმიანობენ. რამდენიმე წითელყელსახვევიანი პიონერხელმძღვანელს, დოდო გოგსაძეს შემოხვევია და რაღაცას ეკითხებიან, რჩევას სთხოვენ... დოდო მოგვეგება და მაგიდასთან მიგვიწვია.

ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს, რაც ვაზისუბნელ მოსწავლეთა საქმიანობასა და შრომას შეეხება. საუბარი ჯერ შინმოუსვლელთა სახელობის ხეივნის გაშენებაზე ჩამოვარდა. ვინ იყო ამ შესანიშნავი საქმის თაოსანი?... როდის დაიწყო ხეივნის გაშენება?..

დოდო გოგსაძემ სიამოვნებით გვიპასუხა:

— ვაზისუბანი უზარმაზარი სოფელია... ამჟამად ოთხიათასამდე კომლისაგან შედგება... ჩვენი სოფლის კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. გვყავს რჩეული ინტელიგენცია, სკოლა ადგილობრივი, გამოცდილი პედაგოგებით არის დაკომპლექტებული. სწორედ შარშან, არდადეგებამდე ერთ-

10663



სათუთად უვლიან ვაზისუბნელი პიონერები ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს.

ერთ პიონერულ შეკრებაზე დაისვა ასეთი საკითხი: — რატომ არ უნდა ამოვუდგეთ მხარში სოფლის გლეხობას, რატომ არ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი სოფლის კეთილმოწყობის საქმეში? ცოტა რამ ხომ ჩვენც შეგვიძლია გავაკეთოთ...

ამ წინადადებას მეხუთეკლასელმა წარჩინებულმა მოსწავლეებმა ელდარ შაქარაშვილმა და მანანა რევაზიშვილმა პირველებმა დაუჭირეს მხარი... ახლა ჩვენი შემდგომი საქმიანობის გეგმის შედგენა იყო საჭირო — რა, როდის და როგორ უნდა გაგვეკეთებინა. ბავშვები ჩაფიქრდნენ. ყველას სურდა რაიმე კარგი, საინტერესო იდეა წამოეყენებინა. სიტყვა მეოთხეკლასელებმა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ, ფრიადოსანმა მოსწავლემ მაყვალა კანაშვილმა ითხოვა:

— ჩვენს სოფლიდან ექვსასამდე კაცი წავიდა სამშობლოს დასაცავად იმათგან, როგორც ვიცით, ნახევარიც კი არ დაბრუნებულა შინ, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კარგი იქნება შინმოუსვლელთა სახელობის ხეივანი გავაშენოთ, თვითეულ ხეს ომში დაკარგული ჯარისკაცის სახელი, გვარი და მოკლე ბიოგრაფია მივაწეროთ...

მაყვალას აზრი ყველას მოეწონა:

— ეს რომ განვახორციელოთ, მართლაც დიდებული რამ იქნება... — ვეღარ დამალა თავისი აღტაცება მეხუთეკლასელმა ფრიადოსანმა ნარგიზა მთვარელიშვილმა.

ნარგიზას თანაკლასელმა, პიონერული აქტივის წევრმა ვაჟა ყარაბაღლიშვილმა თქვა:

— ჯერ ომში დაღუპულთა შესახებ სათანადო ცნობების — ფოტოსურათების, წერილების შეგროვება-შესწავლა მოგვიწევს. რაც მთავარია, არცერთი შინმოუსვლელი არ უნდა გამოგვრჩეს...

— მართალია, მართალი. — დაიძახეს ერთხმად ვაჟას ამხანაგებმა — აუცილებელია თვითეულის ბიოგრაფიის შესწავლა.

— მუშაობა რომ გაგვიადვილდეს, ჩემის აზრით, აჯობებს სოფელი ზონებად დაიყოს, თვითეულ პიონერულ რაზმს თავისი ზონა მიეჩინოს, რომელზეც იგი იქნება გაპიროვნებული და პასუხისმგებელი, — შემოიტანა წინადადება მეექვსეკლასელმა მარიამ დათუნაშვილმა.

სოფლის ზონებად დაყოფა სკოლის „გეოგრაფებს“ — მალხაზ სოლომნიშვილს, მზია გურგუჩიანსა და კარლო ხეცურიანს დაევალათ.

არდადეგებიც დადგა. მთელი ზაფხულის განმავლობაში მოსწავლეთა დაუღალავი შრომის შედეგად კრებაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხორცი შეისხა. ვაზისუბნის საშუალო სკოლის თორმეტივე რაზმის წევრებმა კარდაკარ დაიარეს მთელი სოფელი, აღრიცხეს, ჩამოწერეს შინმოუსვლელთა გვარები, შეადგინეს მათი ბიოგრაფიები, სკოლის ფოტოალბომისათვის შეაგროვეს სურათები, ფრონტული წერილები... — დოდო გოგსაძე გვაჩვენებს მოსწავლეთა ხელით შედგენილ ფოტოალბომს, „შინმოუსვლელნი“ ასე აწერია მას.

— შემოდგომისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მომთავრდა, — განაგრძობს საუბარს პიონერხელმძღვანელი, — ერთ მშვენიერ დღეს კი მთელი სკოლა სოფლის თავში კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილ თორმეტ ჰექტარ ნაკვეთს შეესია და დაიწყო ნერგების ჩაყრა.

ახლა იქ მდუმარება სუფევს, სიჩუმე დამკვიდრებულა, არემარეს თითქოს მოუწყენიათ... მაგრამ, მობრძანდით 9 მაისს, გამარჯვების დღესასწაულზე... მაშინ ვეღარც კი იცნობთ აქაურობას. ირგვლივ ყველაფერი ყვავილებით იქნება მოჩითული. გადაწყვეტილი გვაქვს ხეივნის შევსება დეკორაციული მცენარეებით, გავაშენებთ ლამაზ სკვერებს, ირგვლივ ყველაფერს მოვაწესრიგებთ, მოვასუფთავებთ... უკვე დავადგინეთ, რომ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ზეიმი ყოველწლიურად შინმოუსვლელთა ხეივანში ჩავატაროთ.

### ობელისკი: „1917-1967“

ვაზისუბნის საშუალო სკოლის პიონერთა საქმიანობა კომკავშირის რაიკომმა და სკოლის დირექციამ ფრიადზე შეაფასა. იმ დღიდან მოყოლებული სოფელში ყველას შინმოუსვლელთა ხეივანი ეკერა პირზე; ემადლიერებოდნენ პატარებს საშვილიშვილო საქმის წამოწყება-დამთავრებისათვის.

გავიდა დრო. ერთ დღეს პიონერული აქტივის წევრები — მაყვალა კანაშვილი და ვაჟა ყარაბაღლიშვილი პიონერხელმძღვანელთან მივიდნენ და თავიანთი აზრი გაანდეს:

— რითი ეგებება სკოლა დიდი ოქტომბრის სახელოვან 50-ე წლისთავს? პატივცემულო ხელმძღვანელო, მოვიგონოთ რამე...

მეორე დღესვე მოიწვიეს პიონერთა შეკრება. შეკრებაზე იგივე საკითხი დაისვა განსახილველად. კამათში, მსჯელობა-განხილვაში მრავალმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრები გამოითქვა. ზოგი ამბობდა, იუბილესთან დაკავშირებით ისტორიულ ადგილებში ლაშქრობა-ექსკურსიები მოვაწყოთო, სხვები ამბობდნენ — იმ საღამოს სოფლის კლუბში ჩვენი ძალებით საღამო-კონცერტი გავმართოთო... მაგრამ რაზმეულის საბჭომ ჯერჯერობით არცერთი წინადადება არ მიიღო.

ბოლოს მზია გოგიშვილმა ითხოვა სიტყვა:

— ობელისკი ავაშენოთ... — მოკლედ, ყველასათვის მოულოდნელად თქვა მან, — სკოლის შემოსასვლელში, ქუჩისპირზე...

მზიას წინადადებას კვლავ აზრთა სხვაობა მოჰყვა. მოსწავლეთა ნაწილი მისი წინააღმდეგი წავიდა — მშენებლობას, ხომ იცით, ქვიშა, ცემენტი და ათასი რამე სჭირდება, ჩვენ ამის სახსრები სად გაგვაჩნიაო... სახსრების უქონლობამ ყველა ჩააფიქრა.

— მე მგონი, გზას გამოვნახავთ. — ჩვენ ამ დღეებში კოლმეურნეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმით გათვალისწინებულ ორას კილოგრამ ასკილს ვაბარებთ. მაგრამ შეგვიძლია გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ, ორჯერ, სამჯერ მეტი ჩავაბაროთ... გასამრჯელო კი ჩვენი საჭიროებისათვის გამოვიყენოთ... — თქვა ნარგიზა მთვარელიშვილმა.

პიონერებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. იმ დღიდან მოყოლებული კვლავ ატყდა ვაზისუბნის საშუალო სკოლაში ფაციფუცი: მოსწავლეები კვირადღეობითაც ი კ რ ი ბ ე ბ ოდნენ სკოლის ეზოში და კალათებითა და ტომრებით „შეიარაღებულნი" ტყისაკენ მიეშურებოდნენ ჟივილ-ხივილით.



სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ობელისკი—„საბჭოთა კავშირი ორმოცდაათი წლისაა".

სახსრების საკითხი მალე მოგვარდა, ახლა სამშენებლო მასალის ადგილზე მოზიდვა იყო საჭირო. ყველაზე მეტად რკინის არმატურის შოვნა გაჭირდა, მაგრამ მოსწავლეთა მონდომებამ აქაც თავისი გაიტანა. რაზმეულის საბჭომ გამოყო მოწინავე პიონერთა დელეგაცია, რომელსაც საგანგებო დავალება მიეცა — რკინის მილების შოვნის საკითხი მოეგვარებინათ, რათაც არ უნდა დასჯდომოდათ. დელეგაცია იმ დღესვე ეწვია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზურაბ ბრეგვაძეს. პიონერებმა თავიანთი გასაჭირი მოახსენეს, დახმარება სთხოვეს. ზურაბმა გულთბილად მიიღო ბავშვები და დახმარება აღუთქვა. აღუთქვა და შეასრულა კიდეც. ზურაბმა ბავშვებს კოლმეურნეობისავე მანქანით მიუზიდა მილები. მალე მოსწავლეებმა ობელისკის პროექტიც შეიმუშავეს. კარკასის მოსამზადებლად ელექტროშემდუღებელი იყო საჭირო. რაზმეულს კვლავ ახალი საზრუნავი გაუჩნდა. არადა, მშენებლობა შეიძლება შეფერხებულიყო. უმცროსებს მეგობრული სამსახური გაუწია მეათეკლასელმა კომკავშირელმა ნანა კანჭაშვილმა. მან თავის მამას, კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორს თენგიზ კანაშვილს სთხოვა დახმარება აღმოეჩინა სკოლისათვის. და აი, ოთხმეტრიანი ობელისკი აღიმართა. მოხსნეს ყალიბები და, როცა სვეტის მარმარილოთი მოპირკეთებაღა დარჩა გასაკეთებელი, იზოლდა შოშიაშვილმა, არავის რომ არ უთხოვია, ისე მოიყვანა თავისი მამა ოთარ შოშიაშვილი; ოთარმა ორი დღე იმუშავა ობელისკზე და... მოსწავლეთა დიდი მადლობა დაიმსახურა. დანარჩენი საქმე პიონერებმა თავიანთი საკუთარი ძალებით გააკეთეს: ობელისკი შემოღობეს, ლამაზი კვლები გაიყვანეს და ყვავილები დარგეს. მოაწესრიგეს ელექტროგანათება, რომ დღე და ღამე თვალსაჩინო ყოფილიყო ყველასათვის ვაზისუბნელი პიონერების მიერ სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი ობელისკი — „საბჭოთა კავშირი ორმოცდაათი წლისაა".

## მეგობრობა

სკოლაში წერილი მოვიდა:

„საქართველოს სსრ, გურჯაანის რაიონი, ვაზისუბნის საშუალო სკოლა.

სურვილი მაქვს ვიმეგობრო თქვენი სკოლის რომელიმე მეექვსეკლასელთან".

წერილს ხელს აწერდა უკრაინის ხმელნიცკის ოლქის სოფელ პროსკუროვკის საშ. სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე გალია კუნდე. ბარათს თან ერთვოდა ავტორის ფოტოსურათი: თვალებცქრიალა გოგონა ლამაზად იღიმებოდა.

პიონერხელმძღვანელმა დოდო გოგსაძემ წერილის შინაარსი გააცნო მეექვსეკლასელებს და ბოლოს იკითხა:

— ვის სურს გალიასთან მეგობრობა?

— მე... პატივცემულო... — ფეხზე წამოდგა მალხაზ სოლომნიშვილი.

— მე.. — წამოიძახა ლევან ლარიბაშვილმა.

— მე... მე.. — იძახდნენ ბავშვები ყოველი მხრიდან.

„რა ვქნათ? რა ვუყოთ ამდენ მსურველს? — საგონებელში ჩავარდა პიონერხელმძღვანელი — მთელი რაზმია მოწადინებული — იქნებ რაზმებს შორის გაიმართოს მიმოწერა? ლია ახოშვილის მეშვიდე რაზმსა და გალია კუნდეს თანარაზმელებს შორის? ნაწყენი არავინ დარჩება, მეგობრობა უფრო ნაყოფიერი იქნება..."

ასეც მოიქცნენ. მეშვიდე რაზმმა მეორე დღესვე აფრინა საპასუხო წერილი უკრაინაში... მალე პროსკუროვკელი მეგობრებისაგან საპასუხო ბარათი მიიღეს. მერე წერილების წერა, გულთბილი მოკითხვები უკვე ჩვეულებრივი ამბავი გახდა.

— სწორედ ახლა შევადგინეთ მოსაწვევი ბარათი — პროსკუროვკელ თანატოლებს ჩვენთან ვეპატიჟებით, იმედია არ გვაწყენინებენ და გვესტუმრებიან — გვეუბნება დოდო გოგსაძე, მერე ქარვის მოზაიკას — „ირემს" გვიჩვენებს, — ეს კიდევ ჩვენი ლიტველი მეგობრების საჩუქარია. მოლიატსკის რაიონის სოფელ კაშეისკის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამოგვიგზავნეს. უკრაინელების ჩამოსვლის მერე ლიტველებიც მიიღებენ ანალოგიურ ბარათს: „ვაზისუბნელი პიონერები გეპატიჟებიან მზიურ საქართველოში..." მერე კი ჩვენი ჯერი დადგება, ჩვენც ვეწვევით უკრაინასა და ლიტვას... მეგობრობის ძაფებით, პიონერული მარშრუტებით დაიქსელება ჩვენი ქვეყანა... ბარათებში ჩაწერილი გულთბილი სიტყვები ხორცს შეისხამს...

უკან რომ ვბრუნდებოდით, რაღაც ნაზი სიჩუმე მოგვყვებოდა თან. ტანაუყრელი ფიჭვები შრიალით მოგვაცილებდნენ მთელ გზაზე, მათი ტოტებიდან თითქოს ხაკისფერფარაჯიანი ჯარისკაცები იმზირებოდნენ და მხედრულ მარშს ღიღინებდნენ თავიანთთვის ჩუმად.

შემხვედრ სატვირთოებს, ავტობუსებს, თვითმცლელებსა და მსუბუქ მანქანებს თითქოს ხმა ჩასწყდომოდათ. ირგვლივ შინმოუსვლელთა ხეივნისეული მდუმარება გაწოლილიყო, წვიმის წვეთები ხმაურით აღარ ენარცხებოდა მანქანის მინებს. უხმოდ ჩავუარეთ ველისციხეს, ახაშენსა და ჩუმლაყს და ჩუმად, ჩუმად შევსრიალდით ღამის ბინდში გახვეულ ქალაქში.

ამჟამად ჩვენი სტუმარია მავზოლეუმის პირველი გუშაგი, საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის გენერალ-მაიორი ერმალოზ კობერიძე.

# ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...

პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ჩვენს სოფელში, ცხმორში (ონის რაიონი) ხმა დაირხა: ლენინის ხელმძღვანელობით პეტროგრადში მუშები და გლეხები ჩაუდგნენ ხელისუფლებას სათავეში. ჩვენი სოფლელების სიხარული უსაზღვრო იყო: ახლა კი გვეშველებაო!

გალატაკებული ქართველი გლეხობაც გამოცოცხლდა. იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებებმა, რომელთაც ულმობლად უსწორდებოდა მენშევიკური მთავრობა. 1921 წელს აჯანყებული გლეხების დასახმარებლად წითელი არმია წამოვიდა. ჩვენებურები ნიჩბებით მამისონის უღელტეხილისკენ გაემართნენ თოვლიანი გზების გასაწმენდად. მეც ურუმრად მოვიმარჯვე ნიჩაბი და უფროსებს უკან დავედევნე.

შორიშორ მივდევდი, უკან არ გამომაგდონ-მეთქი. მოუთმენლად ველოდი წითელარმიელების გამოჩენას. ჩემი პატარა ჭკუით, ასე მეგონა, ჯარს წინ თვითონ ლენინი მოუძღოდა. სიხარულს გულში ვერ ვიტევდი და აი, გამოჩნდნენ წითელარმიელებიც! ამაღელვებელი იყო ჩვენი შეხვედრა. დაგვიწყეს ხვევნა, დაგვირიგეს პური, შაქარი, თუთუნი... ჩვენც მუშები და გლეხები ვართო. მე ერთი წითელარმიელი მოვიხელთე და შევეკითხე: ლენინი რომელია მეთქი!

— შენ რა იცი, ლენინი ვინ არის?

— როგორ არ ვიცი, — ამაყად მივუგე, — რახანია გაგონილი მაქვს ლენინის სახელი.

— ყოჩაღ! — მხარზე ხელი დამარტყა არმიელმა.

— შეიძლება ლენინურ არმიაში ჩავეწერო?

— რატომ არ შეიძლება! — გაეღიმა არმიელს, — ოღონდ, ცოტა დაგაგვიანდა. შინაგანი მტერი უკვე განადგურებულია, გარეშე მტერმაც იგემა ჩვენი ძალა და კუდი ამოიძუა, შენ ყმაწვილი ხარ, ჯერ ისწავლე და როცა დავაჟკაცდები, მერე მოგიწევს ბრძოლა ჩვენს დაუძინებელ მტერთან — მსოფლიო ბურჟუაზიასთან. რაც შეეხება ლენინს, ლენინი ყველგან ჩვენთან არის, ნახვით კი... ვერ აისრულებ სურვილს, მოსკოვშია. მუშაობს... უნდა გენახათ რანაირად ჩამოვყარე ყურები.



წითელარმიელის ნათქვამიდან ბევრი რამ ვერ გავიგე. სიტყვა „ბურჟუაზია" პირველად მესმოდა, მაინც თვალებგაბრწყინებული შევცქეროდი წითელარმიელს და უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ლენინის ნახვის სურვილი ერთი-ორად გამიღვივდა, ოცნებად გადამექცა, სწორედ ამ სურვილმა გადამაწყვეტინა წითელარმიელი გავმხდარიყავი. შინ რომ დავბრუნდი, კედლიდან ურუმრად ჩამოვხსენი ძველისძველი კაჟიანი თოფი, ავიხსნი მამა-პაპისეული ხმალი, ხანჯალი, თავი წითელარმიელად წარმოვიდგინე და სოფლის მოშორებით ტყეს მივაშურე. ჯერ თოფს ავუყენე ბათქაბუთქი, მერე ხმალი მოვიმარჯვე და, რაც კი გარშემო ბუჩქნარი იდგა, ერთიანად გადავსხიპე. კარგა ხანს ასე მივიპარებოდი ხოლმე ტყეში, თავს ვაჟკაცობაზე ვდებდი და ვეუფლებოდი „საბრძოლო ხერხებს".



...1922 წელს ქალაქ ვლადიკავკავის (ორჯონიკიძე) ფეხოსანთა სამეთაურო სასწავლებელში შევედი, საიდანაც 50 კურსანტი კრემლის პირველ გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში გადაგვაგზავნეს. უფროსმა კურსანტებმა გვითხრეს, სანიმუშო კურსანტებს ლენინის ბინაში გუშაგობა უწევთ ხოლმე. ისიც იმათგან გავიგე, რომ ლენინი იმჟამად შეუძლოდ იყო და გორკაში ისვენებდა.

ლენინის ნახვის იმედმა უფრო წამახალისა.

ვისწავლე წარჩინებით, ვიქნები სანიმუშო კურსანტი და მეც დამაყენებენ ლენინის გუშაგად! იქნებ ახლო ვნახო, იქნებ გამომელაპარაკოს კიდეც. — ვოცნებობდი გულში.

და აი, ამიხდა ოცნება! მე ვნახე ლენინი! იდგა 1923 წლის ოქტომბრის თვე. კურსანტები სპასკის ტაძართან გახურებულ ფეხბურთს ვთამაშობდით. უცებ ღია ჭიშკარში მსუბუქი მანქანა გამოჩნდა, ნელ-ნელა შემოვიდა და სახკომსაბჭოსაკენ გაუხვია. ძველმა კურსანტებმა სიხარულით შესძახეს: — „ამხანაგი ლენინი ჩამოვიდა!" და ერთიანად მიჰყვნენ მანქანას. მეც ავიჩქარდი, მანქანა გაჩერდა, ლენინი გადმოვიდა. გავიქეცი, მინდოდა ახლოს მენახა ბელადი, მაგრამ ასე ოთხმოც ნაბიჯზე ვიქნებოდი დაშორებული, რომ სახკომსაბჭოს შენობაში შევიდა და თვალს მოეფარა. მალე პასუხისმგებელი მუშაკების თანხლებით ლენინი უკან გამობრუნდა. ღიმილით ელაპარაკებოდა ამხანაგებს, მერე დინჯად ჩაჯდა მანქანაში და მძღოლმა ნელ-ნელა დასძრა. კურსანტები განკარგულების გაუცემლად სმენაზე დავდექით და უზომოდ გახარებულნი ხარბი თვალებით მივაცილებდით მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის ბელადს. ლენინი გვიღიმოდა და ოდნავ გვიქნევდა ხელს. ეს ლენინის უკანასკნელი მოსვლა იყო სახკომსაბჭოში. განუხორციელებელი დამრჩა სურვილი ბელადის ბინის გუშაგი ვყოფილიყავი, მაგრამ მქონდა დიდი პატივი და ვიდექი № 1 საგუშაგოზე მავზოლეუმში დიდი ბელადის ცხედართან!..

ცხარე ბრძოლებში მომიწია დიდ სამამულო ომის დროს. განსაკუთრებით მაგონდება 1944 წელი. მე მაშინ 117-ე მსროლელთა დივიზიის მეთაური ვიყავი. ჩვენ საარტილერიო ცეცხლში და ბომბების თავსხმაში გადავლახეთ წყალუხვი ვისლა. ორი კვირის ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ ფრონტზე სამ კილომეტრზე გავაფართოვეთ ცნობილი პულავის პლაცდარმი... ენა ადვილად იტყვის, მაგრამ რა ნებისყოფა, რა სულიერი შეუპოვრობა გამოიჩინეს ჩვენმა მებრძოლებმა... ამ გმირობისათვის 117-ე მსროლელი დივიზია წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა...

გავიდა ოცდაორი წელი... მავზოლეუმში ბელადის ბროლის სარკოფაგს მდუმარედ დავყურებდი. თითქოს გუშინ იყო, ლენინური არმიის მებრძოლობაზე რომ ვოცნებობდი... ახლა კი, ვიდექი ნაომარი და გამარჯვებული ჯარისკაცი...

წითელარმიელების ცხოვრება თავისთავად გულისხმობს ურთიერთმეგობრობას, ერთგულებას, ზრუნვასა და თავგანწირვას, მაგრამ მე ჩემს ამ მრავალათასიან მეგობრებში მაინც განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი ჩემი ბავშვობის მეგობართან, ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკთან — ერასტი ბურდილაძესთან, ბევრი დაუვიწყარი დღეები გვაკავშირებს მე და ერასტის გროზნოს სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროიდან. ჯარისკაცისათვის მკაცრად განკუთვნილი ულუფაც კი გაუყოფელი გვქონდა. სამამულო ომის დროს ერასტი მესანგრეთა ბატალიონის უფროსი იყო. ახლა ქუთაისში ცხოვრობს. ხანმა თავისი დაგვატყო, ხშირად ვერ ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ისე არ გავივლი იმ მხარეს, რომ ჩემი მეგობარი არ ვინახულო. ბავშვებივით გვიხარია ერთმანეთის ნახვა.

ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო, მე ვისურვებდი, რომ მთელ მსოფლიოში იყვეს შრომის სუფევა და ჩვენ ყველას მშვიდობის ჯარისკაცები გვერქვას, მაგრამ თუ ვინმე მაინც ინებებდა მშვიდობის დარღვევას, მე ისევ ლენინური არმიის სახელოვან, საბრძოლო გზას გავყვებოდი.

# გათენება ალაზანთან



ის გათენება მაინც რად ღირდა,
ის ცა—სილნალზე ყვითლად დახრილი.
ალაზნის პირას აშლა ნახირთა,
მენახირეთა გადაძახილი.

მთვარის ნათელში თეთრი საურმე,
გარინდებული მუქი ჭალები,
ხან გამოსული ტყიდან ხმაური,
ხმები—ნადირთა გაჭაჭანების!

ქონავდა ციდან ოქტომბრის დილა,
გვაცემინებდა სუსხი კბილი-კბილს;
და მერე ენთო ცეცხლი ტყის პირას
და კანკალებდა კვამლის ბილიკი.

# მეჯოგე



მეჯოგე იყო პაპა და მთიდან
როცა მოჰყავდა ცხენების ჯოგი,—
ერთი ყიჟინით გავვარდებოდი,
ალტაცებული მინდორში ვრბოდი.

წლები წავიდნენ...
არ მეორდება,
რაც იმ ულრუბლო დღით მინახია,
მეჯოგე პაპაც დიდიხანია
ერთ ამწვანებულ სერზე მარხია.

მე კი ამ წუთას კვლავ პატარა ვარ,
კვლავ მესობიან ფეხში ეკლები,
და ვზივარ ჯოხის ცხენზე ამაყად
და ნამდვილ ცხენებს მივერეკები.

ანზორ აბულაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



გაიანე
ალიბეგაშვილი

# როდენი და მაიოლი

როდენი და მაიოლი დიდი ფრანგი მოქანდაკეები იყვნენ. პირველის შემოქმედება XIX-XX საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება, მეორისა კი — XX საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე აღწევს.

საკმარისია ამ მოქანდაკეთა ნაწარმოებები ერთმანეთს დავუპირისპიროთ, რომ ნათელი გახდეს თვითეული მათგანის შემოქმედების თავისებურება და ის წვლილი, რომელიც ამ ორმა დიდმა ოსტატმა სკულპტურის მხატვრული ხერხების განვითარებაში შეიტანა.

როდენის „ევა" და მაიოლის „პომონა"*) სიცოცხლით აღსავსე შიშველი ქალის ფიგურების სკულპტურული გამოსახულებებია. შემთხვევითი როდია, რომ ორივე მოქანდაკეს ბუნებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთკავშირის შესახებ ერთი და იგივე აზრი გამოუთქვამს. როდენს ეკუთვნის გამოთქმა: „მე მხოლოდ იმას ვიღებ, რასაც თვით სიცოცხლე იძლევა"; მაიოლი კი მოგვიწოდებს: „ბუნება კეთილი, ჯანმრთელი და ძლიერია, უნდა ცხოვრობდე ბუნების წიაღში და უსმენდე მის ენას". მაშასადამე, ორივე ოსტატი ბუნებაში, რეალურ სამყაროში ხედავდა ხელოვნების ნაწარმოების საწყისს. და მაინც „ევა" და „პომონა" თავიანთი ინდივიდუალური თავისებურებებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება.



როდენი. ევა.

როდენის „ევა" მოძრაობაშია მოცემული და გარკვეულ განცდას — სირცხვილს გამოსახავს. იგი მხრებჩამოშვებული და თავდახრილია, ხელები მკვიდროდ ეკვრის გულმკერდს. მაიოლის „პომონა" კი მშვიდად დგას სიმეტრიულად გაშლილი ხელებით ვაშლებს უჭირავს. „ევას" ფიგურის კონტური, თემის შესაბამისად, ნერვული, კლაკნილი და დაძაბულია, შიშველი ტანის ზედაპირი, თუმცა რბილად, მაგრამ საგრძნობლად დაპირისპირებული, ჩაღრმავებული და ამობურცული ნაწილების საშუალებით დანაწევრებულია, რის გამოც ფიგურის განათებისას შუქ-ჩრდილის ცხოველხატულ თამაშს ვამჩნევთ.

„პომონას" კონტური კი ძალზე მშვიდია (რასაც კომპოზიციის სიმეტრიულობაც უწყობს ხელს). ფიგურა აღიქმება განზოგადოებულ აქცენტებში: მთავარი ცალკეული ნაწილის კუნთების მოძრაობის ეფექტი კი არ არის, არამედ — მთლიანობაში აღებული სხეულის ნაწილები — ხელი, ფეხი, გულმკერდი.

ორივე ნაწარმოები შიშველი ტანის ღრმა შესწავლის შედეგია, მაგრამ რაოდენ დიდი განსხვავებაა რეალურ სამყაროდან აღმოცენებული ფორმების შეგრძნებასა და სკულპტურის ხერხების გამოყენებაში!

ეს განსხვავება რომ შემთხვევითი არ იყო და მას, ერთი მხრივ, ამ ორი ოსტატის ინდივიდუალობის, ხოლო მეორე მხრივ, სკულპტურის განვითარების გარკვეული ეტაპების ტენდენციათა ნიშნები ემჩნეოდა, ეს მკაფიოდ ჩანს მათ შემოქმედებიდან.

1864 წელს სალონში** გამოსაფენად წარდგენილი იყო სკულპტურული ნაწარმოები — „ჩამტვრეულცხვირიანი ადამიანი". იგი ხანდაზმული მამაკაცის თავს გამოსახავდა. წლების სიმრავლე და ცხოვრების სიძნელეები სახის ღრმა ნაოჭებსა და ტანჯულ გამომეტყველებაშია აღბეჭდილი. სინამდვილის ამგვარი შეულამაზებელი ასახვით აღშფოთებულმა ჟიურიმ ეს ნაწარმოები გამოფენაზე არ გაიტანა. ამ სკულპტურული ნამუშევრის ავტორი ოგიუსტ როდენი იყო.

შემდეგში სახელგანთქმული ფრანგი მოქანდაკის პირველი ნაწარმოების ასეთი უარყოფითი შეფასება ძალზე საყურადღებო ფაქტია. უკვე თვით თემატიკით — უბრალო ადამიანის, თანაც ულამაზო სახის მქონე მოხუცის გამოსახვით — მოქანდაკე თითქოს წინააღმდეგობას უწევდა წინა პერიოდის ქანდაკების პათოსისაკენ, იდეალური სილამაზისაკენ მისწრაფებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სკულპტურის საერთო განვითარებაში რეალური ცხოვრებით ნაკარნახევი თემატიკისადმი ინტერესის თანდათანობითი გაღვიძება იგრძნობოდა, მაგრამ როდენამდე ვერავინ ვერ შეძლო ამ ტენდენციების ასე სრულყოფილად გამოსახვა და, ამიტომაც, იმ დროისათვის როდენის შემოქმედება რევოლუციური ამბოხება იყო.

იმ დროის გემოვნებისათვის სრულიად წარმოუდგენელი იყო სიმახინჯის ისეთი გაშიშვლებული ასახვა, როგორიც გახდა როდენმა სკულპტურაში — „ის, რომელიც ოდესღაც მშვენიერი ომიერი იყო" (1885 წ.). რა უსაზღვრო სასოწარკვეთილება იგრძნობა მჯდომარე, მოშვებულ, თავდაღუნულ ფიგურაში! დაუფარავად არის ჩამოსხმული გამხმარი, სიბერით დამახინჯებული სხეულის ყოველი ნაოჭი.

* „პომონა" ხეხილის ნაყოფის ქალღმერთია რომაულ მითოლოგიაში.

** ყოველწლიური გამოფენები ლუვრში.

როდენს უპირველესად ადამიანის ფიგურის მოძრაობის გადმოცემა აინტერესებდა. როგორც თვითონ აღიარებდა, იგი ცდილობდა შინაგანი განწყობილება კუნთების მოძრაობით გადმოეცა. ოსტატის სახელოსნოში მოდელები (ნატურა) მუდამ თავისუფალ მოძრაობაში იმყოფებოდნენ. როდენი გულდასმით ათვალიერებდა მათ და სწრაფ ჩანახატებში ცდილობდა სხეულის მოძრაობის მრავალფეროვნების დაჭერას. მხოლოდ ასეთი წინასწარი მომზადების შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო ქანდაკებები: „ბრინჯაოს ხანა" (1876 წ.), „კალეს მოქალაქენი" (1884-86 წლები), „უკანასკნელი ვედრება" (1889 წ.). საოცარია მოძრაობის შთაბეჭდილება პირველ ნამუშევარში: ეს მოძრაობა, მისუსტებული ფეხებით დაწყებული, გვერდით გადაწეული ტორსის მეშვეობით, გაშლილ, დაჭიმულ გულმკერდზე გადადის და სრულ დაგვირგვინებას აწეული, ოდნავ უკან გადახრილი თავით ჰპოვებს. მოძრაობის თანდათანობით ზრდის შთაბეჭდილებას ხაზს უსვამს ხელების ჟესტიკულაცია: მარჯვენა ხელი კაცს თავსუკან აქვს გადაგდებული, რაც ერთგვარ დასრულებას ანიჭებს ხელის მოძრაობას; მარცხენა ხელი კი, მაღლა აწეული და იდაყვში მოხრილი, თითქოს ჰაერშია დაკიდებული. ამით ხაზგასმულია მოძრაობის პროცესი, ე. ი. მოძრაობა დაუსრულებელ განვითარებაში აღიქმება. ცოცხალი მოძრაობის ილუზიას ჰქმნის შიშველი ტანის ზედაპირის დამუშავებაც: მრავალრიცხოვანი ჩაღრმავებული და ამობურცული ადგილების ზოგან რბილი, ზოგ ადგილას კი მკვეთრი მონაცვლეობით განათებული და ჩრდილოვანი ადგილების დინამიკურ, მოძრავ შეხამებას ვიღებთ. ასეთი მხატვრული ხერხებით არის მიღწეული ახალგაზრდა მამაკაცის თანდათანობითი გამოღვიძების გამოსახვა, რაც შეესაბამებოდა თვით ჩანაფიქრს — ბრინჯაოს ხანაში კაცობრიობის გამოღვიძების სიმბოლურ გამოსახვას.

სკულპტურული ჯგუფი „კალეს მოქალაქენი" გვანცვიფრებს მრავალფეროვანი მოძრაობებით. უაღრესი შინაგანი ძალით არის აღსავსე მშვიდი პოზით მოცემული მარჯვენა ფიგურა, რომელსაც ხელში გასაღები უჭირავს*) მისი გარეგნული სიმშვიდე ჩამოშვებული ხელებით, სადა ტანისამოსის სწორი ხაზების ნაოჭებით არის გამოსახული; მოკუმული ტუჩები შინაგანი ძალის შეგრძნებას უსვამს ხაზს; იძულებითი დამორჩილება იგრძნობა თავჩაღუნული, ხელებჩამოშვებული მოხუცის ფიგურაში. დანარჩენ ფიგურებში ხელების ჟესტიკულაციით არის გადმოცემული სრულიად განსხვავებული გრძნობები: სასოწარკვეთა, სიმხნევე და სხვ.

* სკულპტურული ჯგუფი ინგლისელებისათვის ქალაქ კალეს გადაცემის ისტორიულ ეპიზოდს ასახავს.





მაიოლი. პომონა.

აქვე როდენის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ერთ ფაქტსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: მოძრაობა მარტო მოქმედების გადმოცემაში როდი იგრძნობა, არამედ — თვით კომპოზიციის აგებულებაშიც. როდენი ცდილობს ერთფიგურიან კომპოზიციაშიც კი მოუსვენარი სილუეტი შექმნას; გამოსახული ფორმები ჩაკეტილი კონტურით არ იზღუდება და ამიტომ ისინი გარემომცველი სივრციდან მკვეთრად არ გამოიყოფა. ამას ხელს უწყობს ფიგურების ზედაპირის დამუშავება: მოციმციმე, ცხოველხატული შუქ-ჩრდილის ეფექტი ფიგურებს უმოძრაო სხეულების გამოკვეთილობის შთაბეჭდილებისაგან ათავისუფლებს. როდენმა ამით თითქოს გადალახა პლასტიკურ-მოცულობითი ხელოვნების შესაძლებლობათა საზღვარი და ფერწერისათვის დამახასიათებელი ხერხების სფეროში შეიჭრა.

მასალის ასეთი უჩვეულო დამუშავებით, განსაზღვრული შინაგანი მოძრაობა იგრძნობა მაშინაც კი, როდესაც ფიგურა მშვიდი პოზით არის გამოსახული. სიცოცხლის სუნთქვა, სითბო იგრძნობა მარმარილოში, რომელშიც არის შესრულებული ახალგაზრდა მჯდომარე ქალის ფიგურა. ზედაპირის ნაზი, ფაქიზი დამუშავება თითქოს შუქს ჰფენს გამოსახულებას. შესცქერით მშვიდად მჯდომ ფიგურას — „მოაზროვნეს" და მის მკვეთრად გამოძერწილ კუნთებში, მეტყველად გადიდებული ხელების მტევნებში საოცრად შინაგან ძალას გრძნობთ.

კონკრეტული მოქმედება როდენს ყოველთვის სიმბოლურ-განზოგადებულ მნიშვნელობამდე აჰყავს. მაგალითად, გარკვეული ისტორიული ეპიზოდი „კალეს მოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



როდენი.
კალეს
მოქალაქენი.

ლაქენის“ სკულპტურულ ჯგუფში. პატრიოტიზმის იდეის ასახვაში გადაიზარდა; ცნობილი კომპოზიცია „კოცნა“ მუდმივი სიყვარულის განსახიერებაა.

სულ სხვა მოვლენაა მაიოლის შემოქმედება. მაიოლი ძველ ფრანგულ პროვინციაში — რუსილიონში დაიბადა. თავის სამშობლოზე მაიოლმა თქვა: „ზღვა, მზე, ღვინო — აქ ვერ წარმოიდგენთ გულგრილ ხელოვნებას“. მართლაც, მისი ნაწარმოებები სიცოცხლის ჯანსაღი შეგრძნებით არის აღსავსე.

მაიოლი თავდაპირველად ფერწერით იყო გატაცებული, როგორც მოქანდაკემ კი ორმოცი წლის ასაკიდან დაიწყო მუშაობა.

მაიოლის შემოქმედების თემატიკა თავიდანვე ჩამოყალიბდა, ეს იყო შიშველი ქალის სხეულის სხვადასხვა ვარიაციები. როდენისაგან განსხვავებით, შიშველ ტანს იგი ყოველთვის მშვიდი, მარტივი, ბუნებრივი პოზებით გამოსახავს.

ყველა მის ნაწარმოებში, დიდი ზომის სკულპტურა იქნება თუ პატარა ქანდაკება, ყოველთვის იგრძნობა ოსტატის მისწრაფება მონუმენტური ფორმების განსახიერებისაკენ. სიმშვიდის გრძნობა მოქმედების გადმოცემის დროსაც კი არ იკარგება. ერთფიგურიან კომპოზიციაში — „ქალიშვილი თმას ივარცხნის“ — ეს სიმშვიდე ხაზგასმულია სიმეტრიულად აწეული ხელებით, რაც მას დასრულებულ სახეს ანიჭებს.

ქანდაკების თავისებური დამუშავების საშუალებით მოქანდაკე აღწევს ძლიერი, სიცოცხლით აღსავსე ფორმების მონუმენტურობას. ყოველი ფორმა თავის საზღვრებში გარკვეულია და ამ საზღვრებში მოქცეული მოცულობები მკვეთრად გამოიყოფა გარემომცველი სივრციდან. ამას ხელს უწყობს ფორმების ზედაპირის თითქოს გლუვი დამუშავება: ამოძრავებული ცალკეული კუნთები კი არ არის აღნიშნული, როგორც ამას როდენის ქმნილებებში ვხვდებით, არამედ — მხოლოდ მთავარი მოცულობები. მაიოლს ჰყავს თავისი, შერჩეული მოდელის ტიპი — ღონიერი, მაგარი აგებულების ქალები, ოდნავ დამძიმებული პროპორციებითა და ფორმებით. ასეთია „პომონა“ (1907 წ.) ასეთივეა ქალის გამოსახულება სიმბოლურ ქანდაკებაში — „მდინარე“ (1933-1943 წლები).

მაიოლმა ჯანსაღი სხეულის სილამაზე ასახა. სიმშვენიერედ მას ბუნებრივობა მიაჩნდა, რითაც სიმშვენიერის გამოსახვის საზღვრები გააფართოვა.

მაიოლის ფიგურები შთამბეჭდავია ნათელი აგებულებით: მკვეთრად ჩანს, ტანის რომელი ნაწილი ასრულებს საყრდენის როლს. საკმარისია დავაკვირდეთ „მჯდომარე ქალის“ ფიგურას (1902-1906 წლები): ფეხების პერპენდიკულარული გადაჯვარედინებით მტკიცდება საყრდენი წერტილების ძალა; მუხლზე მარცხენა ხელის დაყრდნობას უპასუხებს მარჯვენა პოსტამენტზე დაბჯენილი, სწორად ჩამოშვებული ხელი; აწეული ფეხის, მოხრილი ზურგისა და მარცხენა ხელის მიმართულების საშუალებით კომპოზიცია თავის თავში ჩაკეტილ, დასრულებულ სახეს იღებს.

როგორც აღვნიშნეთ, შიშველი ქალის ფიგურა მაიოლისათვის მთავარი თემა იყო. ოსტატი მას ისეთ შემთხვევაშიც კი იყენებდა, როდესაც გარკვეული დანიშნულების ძეგლებს ჰქმნიდა. ასეთებია, მაგალითად, მხატვარ სეზანისადმი მიძღვნილი ძეგლი (1912-1925 წლები), მდინარის განსახიერება. ქალის შიშველი სხეული ორივეგან სიმბოლოდ არის გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამწყებ კოლექციონერს დასახმარებლად




## ღია ბარათები

შეიძლება შეაგროვო ღია ბარათები, სურათების რეპროდუქციებით, ქალაქების, ისტორიული ადგილების ხედებით და ა. შ.

ღია ბარათებს ინახავენ სპეციალურ ალბომებში, კონვერტებსა და კართოტეკებში.

ალბომი ძალიან ადვილად შეგიძლია გააკეთო სქელი ქაღალდის ან მუყაოს ფურცლებისაგან. საჭირო ზომაზე დაჭრილ ფურცლებს კიდეზე გაუკეთე ნახვრეტები და ერთმანეთს ზონარით გადააბი. თუ დაგჭირდება ალბომში ახალი ფურცლის ჩამატება, საკმარისია გახსნა ზონარი, ფურცელი ჩაამატო სადაც გსურს, მერე ისევ გაუყარო ნახვრეტებში ზონარი და შეკრა. ღია ბარათებს ალბომის ფურცლებზე ამაგრებენ სპეციალური კუთხედებით, რომლებიც წებოთია დაფარული. ასეთი კუთხედები იყიდება მაღაზიაში. ასევე შეიძლება ალბომის ფურცლებზე ამონაჭრების გაკეთება და ამ ამონაჭრებში ღია ბარათების კიდეების ჩასმა.

თუ გადაწყვეტ შენი კოლექციის კართოტეკაში შენახვას, იცოდე ყუთი უსათუოდ ბარათების ზომისა უნდა გააკეთო. ბარათებს შორის ჩასდე მუყაოს გამყოფები და ეს საშუალებას მოგცემს იქონიო ისინი დახარისხებულად და სხვადასხვა სიუჟეტები ერთმანეთში არ აგერევა. არ დაგავიწყდეს ამ გამყოფებზე შესაფერისი ნაწერების გაკეთება.

## მარკები

მარკების კოლექციის შედგენას თუ გადასწყვეტ, თავდაპირველად შეგიძლია ყველა ქვეყნის მარკები შეაგროვო. ეს ცხადია, არც თუ ისე იოლია, მაგრამ ძალიან სასარგებლოა, რადგან ხელს შეგიწყობს საფუძვლიანად გაეცნო ბევრ ქვეყანას, მათს სახელმწიფოებრივ წყობას, სამონეტო სისტემას, ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას. მაგრამ შეგროვება მსოფლიოს ყველა მარკისა, რაც სამარკო სისტემის შემოღებიდან დღემდე გამოსულა, თითქმის შეუძლებელია. ასეთ კოლექციაში ყოველთვის იქნება ხარვეზები, რომელთა შევსება ძალიან ძნელია.

კოლექციონირების პროცესში შენ თანდათან მიხვალ იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია ერთი რომელიმე ქვეყნის ანდა ქვეყნების ჯგუფის — ვთქვათ, აზიის, აფრიკის ანდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მარკათა შეგროვებას მიჰყო ხელი. მაგრამ შენი კოლექცია მხოლოდ მაშინ გახდება სრულფასოვანი, როცა შესძლებ თავი მოუყარო ყველა ფერისა და ნომინალის ყველა მარკას, რაც კი შენ მიერ არჩეულ ქვეყანას გამოუშვია დროის გარკვეულ მონაკვეთში.

შეიძლება შეაგროვო სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოშვებული მარკები, რომლებიც ერთდაიგივე თემისადმია მიძღვნილი (ვთქვათ, სპორტი, ქალაქები, მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანები, ისტორიული ძეგლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო). აი, სწორედ ამას ეწოდება თემატიკური კოლექციონირება.

დამწყები კოლექციონერისათვის, ცხადია, უფრო ადვილია საბჭოთა საფოსტო მარკების შეგროვება: ისინი შეიძლება ფოსტაში, მაღაზიაში იყიდო, კონვერტებს აძრო. ჩვენში ათასგვარი სიუჟეტის მრავალი საფოსტო მარკაა გამოშვებული. ესენი პაწაწინა სააგიტაციო პლაკატებია, რომლებშიც ჩვენი ქვეყანაა ასახული. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე გამოშვებული ყველა მარკა რომ შეაგროვო ეს არც თუ ისე ადვილი, მაგრამ ძალიან საინტერესო ამოცანაა.

როგორი მარკებია ვარგისი კოლექციისათვის, ნახმარი თუ უხმარი? ერთიცა და მეორეც. ნახმარი მარკები იმით არის საინტერესო, რომ მრავალი მხარე და ქვეყანა გამოუვლია, ამის დასადასტურებლად მათზე ბეჭედია დასმული, უხმარ მარკებზე კი ნახატი კარგად არის შენახული.

ვიდრე მარკას ალბომში ჩააკრავდე, მისი კონვერტიდან აძრობაა საჭირო. აგლეჯა არაფრით არ შეიძლება: მარკა შეიძლება გაიხეს და კოლექციისათვის უვარგისი გახდეს. მარკა კონვერტის ნაწილთან ერთად ამოჭერი და ოთახის ტემპერატურის წყალში ისე ჩადე, რომ ნახატი ზევით მოექცეს. წყალში იმდენ ხანს გააჩერე ვიდრე არ დალბება და კონვერტის ქაღალდს არ ასძვრება. შემდეგ ეს მარკა დადე გაზეთზე, ზემოდან საშრობი ქაღალდის რამოდენიმე ფენა დააფარე და ზედ მძიმე წიგნები დააწყე. უხმარ მარკასაც ასეთივე ხერხით აცილებენ წებოს.

მარკას ალბომზე მჭიდროდ ნუ დააკრავ, არც საკანცელარიო წებოს ხმარებაა მიზანშეწონილი, ჯერერთი, მისგან მარკა ყვითლდება და, მეორეც, რომ დაგჭირდეს, ველარც აძრობ.

მარკების დასამაგრებლად არსებობს სახსარი — სპეციალურად მომზადებული ქაღალდის ნაჭრები, რომლებიც განსაკუთრებული წებოთია დაფარული. სახსრის ნაწილი მარკას მიაკარი უკანა მხრიდან, ნაწილი კი — ალბომს. მარკა უთუოდ პინცენტით დაიჭირე, რომ არ გააჭუჭყიანო.

მარკებს ალბომებში ანდა კლიასერებში ინახავენ. კლიასერი ჯიბეებიანი პლანშეტია, რომელიც კალკისა და ცელოფანისაგან ანდა რომელიმე სხვა გამჭვირვალე ქაღალდისაგან არის გაკეთებული. კლიასერებში, ჩვეულებრივად ინახავენ ხოლმე კოლექციაში მყოფ მარკის მეორე ცალს გასაცვლელად.

ალბომად შეიძლება გამოიყენო უჯრედებიანი რვეული, რომელსაც, საჭიროების მიხედვით, გრაფებად დახაზავ. იხმარება აგრეთვე სპეციალური ქაღალდის ფურცლებიც. თვითეული ქვეყნისა ანდა თემისათვის რამდენიმე ფურცელს გამოჰყოფ. ყოველივე ახალი განყოფილების (ქვეყნის) დაწყებისას ფურცელს ზემოთ აღნიშნე ქვეყნის დასახელება, სახელმწიფოებრივი წყობა, სამონეტო სისტემა, სახელმწიფოს დედაქალაქი.

დამწყებ ფილატელისტს დამხმარე საშუალებად შეუძლია გამოიყენოს საბჭოთა კავშირის მარკების ნაბეჭდი ალბომი — კატალოგი.

ჰუბერტ
კინკერი

მხატვარი
ედ. ამბოკაძე

# ლაქა ამერიკასთან

შუადღე იყო. საკლასო ოთახში საშინლად ცხელოდა. ოცდათორმეტი მოსწავლე დაფიდან წინადადებებს იწერდა.

— წერეთ დინჯად, სუფთად და ლამაზად! — გააფრთხილა ისინი მასწავლებელმა ჰანზენმა.

დაფაზე ეწერა: ყოჩაღი ბავშვები ბეჯითად სწავლობენ. ბრემენს დიდი ნავსადგური აქვს. ამერიკა ეხმარება ღარიბ გერმანიას.

ყველა მოსწავლემ სამივე წინადადება უშეცდომოდ გადაწერა. გიზელას სიტყვა „ამერიკასთან“ მელანი დაეწვეთა.

— შინ ათჯერ გადაწერ ამ წინადადებას. მშობელს ხელს მოაწერინებ და ხვალ მაჩვენებ, — ასე დასაჯა მასწავლებელმა გიზელა.

გაკვეთილი დამთავრდა.

---

გიზელა სამზარეულოში მაგიდასთან იჯდა და მერვედ წერდა წინადადებას. ასოების გამოყვანის დროს კალმისტართან ერთად ენასაც ამოძრავებდა.

დედამისიც იქვე იდგა. როცა გიზელამ უამბო, როგორ დასაჯა მასწავლებელმა, დედამ დაარიგა:

— შეცდომა უნდა გამოასწორო, შვილო. დინჯად, ლამაზად და სუფთად წერე.

დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. მამა მდუმარედ შემოვიდა სამზარეულოში და სკამზე ხვნეშით დაეშვა.

— რასა წერ მანდ? — გამოელაპარაკა ბავშვს.

გიზელამ არ უპასუხა, უსიტყვოდ შესცქეროდა მამას და ხელში კალმისტარს ატრიალებდა.

— სკოლაში ნაწერზე მელანი დაუღვრია და ახლა ერთი და იგივე წინადადება ათჯერ უნდა დაწეროს. — თქვა დედამ.

— შენ რა, დამუნჯდი? — დაიხარა მამა გოგონასაკენ.

გიზელამ რვეულს დახედა და კითხვა დაიწყო:

— ამერი... ამერი... ამერი...

— აბა, გიზელა, უთხარი მამას, რა უნდა დასწერო, — თქვა დედამ.

— ამერიკა ეხმარება ღარიბ გერმანიას. ათჯერ უნდა დავწერო, — ამოილუღლუღა გოგონამ.

მამამ რვეულს ხელი დასტაცა და ხმამაღლა წაიკითხა: „ამერიკა ეხმარება ღარიბ გერმანიას“.

— როგორ, ეს უაზრობა შენ რვაჯერ დასწერე? რვაჯერ! — წამოიძახა აღშფოთებით და რვეული მაგიდაზე დააგდო. — ეს მართალი არ არის. ეს სიცრუეა, მტკნარი სიცრუე. ამას შენ არ დასწერ. გესმის თუ არა? არამც და არამც! — მამამ მაგიდაზე მუშტი დაარტყა. მერე კვლავ რვეულს დახედა და თავში რაღაც აზრმა გაუელვა.

— მაგ წინადადებას მოეშვი. სხვა რამეს დაგაწერინებ. აიღე კალმისტარი!

გიზელამ ჯერ მამას შეხედა, მერე დედას: არ იცოდა რა ექნა.

—დედას ნუ შეჰყურებ, როგორც გეუბნები, ისე გააკეთე, მალე!

მამა გიზელას გვერდით დაუდგა.

— აბა, დაიწყე: „მამაჩემი უმუშევარია, რადგან ამერიკელები არ გვეხმარებიან“. სიტყვა „არას“ ხაზი გაუსვი.

გოგონა ყოყმანობდა. მამა დასწვდა ბავშვის ხელს, რომლითაც გიზელას კალმისტარი ეჭირა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რაღას უცდი, დაწერე: — მა-მა-ჩემი უ-მუ-შევა-რია, რადგან...

დედამ მეუღლეს მკლავზე ხელი წაავლო.

— თავი დაანებე. ეგ რა ბავშვის ბრალია. ხელს ნუ უშლი, ნაწერი ხვალ უნდა უჩვენოს მასწავლებელს.

მამა გაბრაზდა:

— მაშ ეგ რვეული აქ მომეცით. მე თვითონ დავწერ.

მამამ რვეული წინ დაიდო, დაჯდა და კალამი მელანში ჩააწო. დედა გაზქურასთან იდგა და უყურებდა, რა ნელა წერდა იგი თვითეულ სიტყვას. როგორც იქნა, წერა დაამთავრა.

— ხვალ წაიღებ და მასწავლებელს უჩვენებ! — თქვა და წამოდგა.

დედა გიზელასთან მივიდა და რვეულში ასეთი რამ წაიკითხა:

„ამერიკა არ ეხმარება ღარიბ გერმანიას. ჩვენი რკინა და ქვანახშირი გროშის ფასად მიაქვთ. ისინი ხურავენ ჩვენს ფაბრიკებს, რის გამოც სამუშაოს ვკარგავთ. ისინი ახალი ომისათვის ემზადებიან. აი ასე გვეხმარებიან ისინი ჩვენ".

— განა შეიძლება... — დაიწყო დედამ. მამამ ხელის გაქნევით გააწყვეტინა:

— შეიძლება. და თუ შენ გიზელას გამო გეშინია, დილით მეც თან წავყვები. ხვალაც თავისუფალი ვარ. მე ხომ უმუშევარი ვარ.

დედამ აღარაფერი თქვა...

ფროილაინ ჰანზენი ტრამვაის გაჩერებასთან იდგა. ტრამვაი რომ ჩამოდგა, ფროილაინ ჰანზენი ავიდა და ფანჯარასთან დაჯდა. მერე ხელჩანთა გახსნა, წერილი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

„საყვარელო დაიკო..." ქალიშვილს უცებ მოაგონდა, რომ მის ძმას პროთეზი ჰქონდა. სტრიქონებს სწრაფად გადაავლო თვალი, მაგრამ ამპუტირებული მკლავის შესახებ არაფერი ეწერა. ძმა თავის სწავლასა და მუშაობაზე, გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდობის შეკრებებსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაზე წერდა. ჰანზენის ძმა ლაიპციგში სწავლობდა და მასაც სურდა მასწავლებელი გამოსულიყო.

ქალიშვილი სკოლასთან ჩამოვიდა.

გიზელა შინ რომ დაბრუნდა, დედა და მამა სამზარეულოში ისხდნენ.

— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა მამამ (იგი დილის რვა საათიდან სამასწავლებლოს წინ იცდიდა, მაგრამ ფროილაინ ჰანზენი ცხრა საათზეც რომ არ გამოჩნდა, ადგა და წამოვიდა). — რა გითხრა მასწავლებელმა?

— წაიკითხა და დიდხანს ჩუმად იყო.

— მერე? — მამას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა.

მეგონა მიმტყეპავდა, მაგრამ მან დაწერილი ფურცელი ამოხია და რვეული უკანვე დამიბრუნა.

— მეტი არაფერი?

— როგორ არა, მითხრა, მამაშენს ზოგი რამ მინდა ვკითხოო...

გერმანულიდან თარგმნა
უ. ამირანაშვილმა.

# ელდარის ფიჭვი

საქართველო მდიდარია ენდემური ხის ჯიშებით. ეს მცენარეები დიდი ღირსებით გამოირჩევა. მათ შორის არის საუკეთესო წიწვოვანი მცენარე ელდარის ფიჭვი. ამ მცენარის ერთი კორომი წითელწყაროს რაიონში, ელდარის ველზეა შემორჩენილი. აქედან წარმოდგება სახელწოდებაც. მცენარე ეგუება გვალვიან პირობებს და კარგად ხარობს კლდოვან ფერდობებზე. ასეთი ფერდობები რომ გაგვემწვანებინა, ამ მცენარის ნერგი უნდა მიგვეღო, რაც ადვილი როდი აღმოჩნდა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტყის კულტურების კათედრას თითქმის ოცდაათი წლის მუშაობა დასჭირდა ელდარის ფიჭვის ნერგის მისაღებად.

ახლა თბილისის გამწვანების სანერგე ყოველწლიურად მილიონზე მეტ ნერგს ზრდის და რაიონებში გზავნის.

ელდარის ფიჭვის მეჩხერი ტყეები ელიარადის მთის ფერდობებზეც გვხვდება, ქიათურისა და მაიაკოვსკის მთიანი ფერდობების ბინადარიც არის.

თბილისის ვაკის ახალ პარკს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაღს, კომკავშირის ხეივანს, მთაწმინდის პარკს, კოჯრის, წყნეთის ფერდობებს ელდარის ფიჭვი ამშვენებს. მან ბაქოს გარეუბნებიც გაალამაზა.

ასე გადარჩა გადაშენებას ეს ძვირფასი ხე.

# პამიდორის ხე

დიდიხანია მეცნიერები ცდილობდნენ შეექმნათ მრავალწლიანი მცენარე, რომელიც პამიდორის ნაყოფს მოისხამდა.

ეს ამოცანა აკადემიკოსმა ციცინმა გადაჭრა... მან მცენარე ციფომანდრას თვისება გამოიყენა: ეს მცენარე 4-5 ცალ მტევნისებრ ნაყოფს იბამს. თვითეული 40-45 გრამს იწონის.

ციფომანდრაზე პამიდორის სისტემატურმა მყნობამ ბოლოს თავის შედეგი მოიტანა: პამიდორმა შეიცვალა თავისი მემკვიდრული თვისება, ნაყოფს გაცილებით უხვსა და გემრიელს იძლევა, უფრო გამძლეა. მისი ნაყოფი შეიძლება ყუთებით კი არა, ტომრებითაც კი გადავიტანოთ, დიდხანს ინახება.

შორს არ არის ის დრო, როცა მრავალწლიანი პამიდორის ხე, ყველგან გაიდგამს ფესვს.

გ. დათუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა ? პასუხი

# როგორ იბადებიან და კვდებიან ღმერთები

**ვპასუხობთ ქ. ფოთის 1 საშ. სკოლის $\mathrm{VII}^1$ კლასის მოსწავლე ლელა კახიძის შეკითხვაზე.**

**დავით გეგეშიძე,**

**ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

ჩვენი შორეული წინაპრები, პირველყოფილი ადამიანები, უმეტესად ნანადირევით იკვებებოდნენ, მაგრამ ხშირად, ცხოველებთან შეტაკების დროს, ისინი იღუპებოდნენ ან ნადირობიდან ხელმოცარული ბრუნდებოდნენ. თანდათანობით ადამიანს გაუჩნდა რწმენა, რომ ნადირობის შედეგს გარეშე ზებუნებრივი ძალები განსაზღვრავდა. საჭირო იყო ამ ძალებზე ზემოქმედება. ამ მიზნით, ადამიანები, ნადირობის წინ მიწაზე ან კლდეზე ცხოველთა გამოსახულებებს ხატავდნენ და მათ შუბითა და ისრით განგმირავდნენ. მერე და მერე სხვადასხვა რელიგიური რიტუალების შესრულებაც იწყეს.

შემდეგში, ცხოველთა მოშინაურებას, საყოფაცხოვრებო მიზეზებს ცხოველთა გაღმერთება მოჰყვა. ასე შეიქმნა სხვადასხვა ცხოველის, მაგალითად, კატის, ძაღლის, ძროხის, მაიმუნის, გველისა და სხვათა კულტი. ადამიანები თაყვანს სცემდნენ აგრეთვე ბუნების მოვლენებს, ხეებს, მდინარეებს, ყვავილებს, მზეს, მთვარეს... მათ შესთხოვდნენ წყალობასა და დოვლათის სიუხვეს.

ყოველივე ამის პარალელურად, ადამიანებს სულის არსებობის რწმენაც შეუმუშავდათ. ისინი სიზმრებში ხედავდნენ გარდაცვლილთა სახეებს და ამიტომ ფიქრობდნენ, გარდაცვალების შემდეგ სხეული კვდება, სული კი არსებობას განაგრძობსო. მორწმუნეთა აზრით, რადგან სული არსებობს, საჭიროა მისთვის ვიზრუნოთ, თორემ მას შეუძლია ადამიანს ვნება მიაყენოს, რადგან იგი ცოცხალ ადამიანზე უფრო ძლიერია. ასე წარმოიშვა სულის გულისმოგებასთან დაკავშირებული მრავალი სახის რელიგიური წესჩვეულება, რომლებიც აქა-იქ ახლაც კი არის შემორჩენილი...

ამრიგად, ადამიანს სწამდა მრავალი სახის ღვთაების არსებობა და მისი გულისმოგების საშუალებებიც ჰქონდა გამოგონილი. მაგრამ დროთა განმავლობაში, ძველი ღვთაებები კვდებოდნენ და მათ ადგილს ახალი ღვთაებები იკავებდნენ.

ახალი ღმერთების გაჩენა ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედეგია. გაჩნდა საგვაროები და სამეფოები. ყველა საგვაროს თავისი საკუთარი მფარველი ღმერთი ჰყავდა. როცა ძლიერი სამეფო სხვა საგვაროს და სამეფოს იმორჩილებდა, ძლიერი სამეფოს ღმერთს დაპყრობილი სამეფოსა თუ საგვაროს ღმერთებიც ემორჩილებოდნენ. შემდეგში, თანდათანობით, ძლიერი, გაერთიანებული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოების შექმნა საფუძვლად დაედო ერთი ღვთაების გაბატონებას.

მრავალი ღმერთის არსებობის რწმენას **პოლითეიზმი** ეწოდება. „პოლითეიზმი" ლათინური სიტყვაა: „პოლუ" მრავალს ნიშნავს. „თეია" — ღმერთს. პოლითეიზმი **მონოთეიზმმა**, ე. ი. ერთღმერთიანობამ შეცვალა („მონოს"— „ერთი", „თეია" — ღმერთი).

მსოფლიოში ამჟამად ყველაზე ფართოდ გავრცელებული მონოთეისტური რელიგიებია: **იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა** და **ისლამი.**

ამ რელიგიებიდან ყველაზე ძველი სარწმუნოება იუდაიზმია. ამ რელიგიას, ძირითადად, ებრაელი ხალხი აღიარებს. იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში შეიქმნა.

ბუდიზმი, როგორც რელიგიური სისტემა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, ინდოეთში ჩამოყალიბდა.

ქრისტიანობა ძველი რომის იმპერიაში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ნახევარში წარმოიშვა.

ისლამი შედარებით გვიან, ჩვენი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნის დასაწყისში, არაბულ ქვეყნებში გაბატონდა.

ოთხივე მსოფლიო რელიგია ერთი ღმერთის არსებობას აღიარებს. ეს ღმერთი განსაზღვრავს ყოველივეს ამ ქვეყნად, ამასთან, იმქვეყნიურ სამყოფელსაც განაგებს.

იუდაიზმი ღვთაება იახვეს არსებობას აღიარებს, ბუდიზმი — გაუტამას (შემდგომში ბუდად წოდებულს), ისლამი — მუჰამედს, ქრისტიანობა — „ძე ღვთისას“ ანუ ქრისტეს.

რელიგიების მსახურნი ყოველნაირად ცდილობენ დაასაბუთონ თავ-თავიანთი რელიგიის წარმოშობის ღვთაებრიობა და ჭეშმარიტება. ჩვენ კი, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ და რატომ წარმოიშვა ეს სარწმუნოებები, მოკლედ განვიხილოთ ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიის — ქრისტიანობის ჩამოყალიბების ნამდვილი მიზეზები.



ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის შუა წლებიდან I საუკუნის მეორე ნახევრამდე რომის ძლიერმა სახელმწიფომ ხმელთაშუა ზღვის გარშემო არსებული თითქმის ყველა სახელმწიფო შთანთქა. რომის ხელისუფალთა ძირითადი საზრუნავი დაპყრობილი ქვეყნების სრული დაკაბალება, მათი ეკონომიური დამორჩილება იყო. რომის იმპერიის მოხელეები შესანიშნავად დაეუფლნენ დაპყრობილი ქვეყნებიდან სიმდიდრის მაქსიმალურად ამოღებას, მონების ჩაგვრას და ამბოხებათა მთელი სისასტიკით ჩახშობას.

მონათა ამბოხებას კი ბევრჯერ უფეთქნია. მაგალითად, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის 109 წელს რომის იმპერიაში, 196 წელს სიცილიაში და ბოლოს, ეტრუსკიაში, 197 წელს სიცილიაში და ბოლოს, სპარტაკის ხელმძღვანელობით, 74-71 წლებში.

მონათა აჯანყებები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დამპყრობლები კიდევ უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდნენ. თანდათანობით, დამორჩილებულ ხალხებს, უწინარეს კი მონებს განთავისუფლების ყოველგვარი იმედი დაეკარგათ. მათი ფიქრით, ამქვეყნიური ძალები მათ უბედურებისაგან ვეღარ იხსნიდა. დარჩა ერთადერთი — ზეციური ძალების იმედი. ასე წარმოიშვა რწმენა მესიის ანუ მხსნელის ამქვეყნად გამოცხადებისა და მის მიერ თანასწორობის დამყარებისა. მალე შემუშავდა ქრისტიანული რელიგიის ძირითადი შინაარსი, შეიქმნა მითი ქრისტეს შესახებ.

მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა მონათა რელიგიიდან სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა. იგი მდიდართა კლასის სამსახურში ჩადგა. ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში ემსახურებოდა და დღესაც თავდადებით ემსახურება გაბატონებული კლასების ინტერესებს.

მაშასადამე, ქრისტიანობას, ისე როგორც სხვა მსოფლიო რელიგიებს, წარმოშობის მიწიერი საფუძვლები აქვს. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ქრისტე არასდროს არ არსებობდა.

მსოფლიო რელიგიების შემქმნელებმა ბევრი რამ ბუნების მოვლენებისა და საგნების, ცხოველების გაღმერთებისდროინდელი რელიგიური შეხედულებებიდან აიღეს, ისინი თავისებურად გადაამუშავეს და გამოიყენეს. ამიტომ მონოთეიზმში ბევრია პოლითეიზმის ნიშნები.

თანამედროვე მსოფლიო რელიგიები არასოდეს არ ყოფილა მყარი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული; ამ რელიგიების ბევრი სახესხვაობაა ცნობილი, მაგალითად, ქრისტიანობაში სამი ძირითადი მიმდინარეობა არსებობს. ესენია: მართლმადიდებლობა, კათოლიკობა და პროტესტანტობა; თავის მხრივ, პროტესტანტობა სხვადასხვა მიმდინარეობად იყოფა (ლუთერიანობა, კალვინიზმი, ანაბაპტიზმი...) ქრისტიანულ სარწმუნოებაში რელიგიური ორგანიზაციებიც არსებობს; ეს ორგანინიზაციები სექტების სახელწოდებით არის ცნობილი (ბაპტიზმი, ორმოცდაათიანელები, მენონიტები, მეშვიდე დღის ადვენისტები, იეღოველები, „მალაკნები“, „დუხაბორები“ და სხვ.). ბევრი სხვადასხვა მიმდინარეობა არსებობს აგრეთვე იუდაურ, ბუდისტურ და ისლამის რელიგიებში.

ამის მერე ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ღმერთი მართლა არსებობს, რატომ იძლევა ის სხვადასხვა რწმენის არსებობის ნებას? როგორ გაიგოს კაცმა, რომელი რწმენა არის ჭეშმარიტი და რომელი არა?

ჩვენს ქვეყანაში რელიგია ჰკარგავს თავის გავლენას. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა ყოველგვარი რელიგია. მათ კარგად იციან, რომ, როგორადაც არ უნდა იყოს შელამაზებული რელიგიური შეხედულებები, რელიგიას ადამიანისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს.

**რედაქცია:**

ბავშვებო! შეგვეკითხეთ რა გაინტერესებთ. რედაქცია სიამოვნებით გაგცემთ პასუხს თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

## იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

**სად მდებარეობს ეს შენობა, როდის არის იგი აშენებული და ვინ არის მისი არქიტექტორი? რა არის ამ შენობაში მოთავსებული?**



იცნობ თუ არა შენ მშობლიურ მხარეს?

### პასუხი № 2-ში მოთავსებულ კითხვებზე

## მთაწმინდა

თბილისის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავი ადგილი მამადავითის მთაზე, ანუ მთაწმინდაზე მდებარე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონია. გადმოცემის თანახმად, სახელწოდება „მთაწმინდა" დაკავშირებულია ერთ-ერთ „ცამეტ სირიელ მამათაგანის" — წმიდა დავითის სახელთან, რომელიც საქართველოში VI საუკუნეში იყო ჩამოსული. მან აქ, ძველი თბილისის მახლობლად, ააშენა მცირე სენაკი და სამლოცველო. მზარდი ქალაქის სიახლოვით (ეს სწორედ თბილისის აღზევების პერიოდია) შეწუხებული დავითი გარეჯის უდაბნოში გადასახლებულა, სადაც დაუარსებია მონასტერი — დავით-გარეჯა.

დროთა განმავლობაში სენაკი დაინგრა. 1542 წელს აქ ააშენეს ბაზილიკის ტიპის ეკლესია. ეს ეკლესია თავის გეგმაზე ვახუშტი ბატონიშვილს მთაწმინდის სახელწოდებით აქვს აღნიშნული. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ეს ტაძარი დაინგრა და მხოლოდ 70-იან წლებში აშენდა აქ გუმბათიანი ეკლესია.

ეკლესია მდებარეობს ხელოვნურ ტერასზე, რომელიც ქალაქთან ბილიკით იყო დაკავშირებული. 1817 წელს ტაძრამდე გაიყვანეს საცალფეხო გზა, ამჟამად კი მთაწმინდის პანთეონამდე შესანიშნავი სამანქანო გზა ადის.

თავის დროზე ეკლესიას გალავანიც ერტყა, ამიტომ ეს ადგილი მტრის შემოსევისას თბილისელთა თავშესაფარიც იყო. ცნობილია, რომ თავისი შვილის ვახტანგის სიკვდილით დამწუხრებული ერეკლე II კარგახანს მთაწმინდის ეკლესიაში ცხოვრობდა და იქიდან განაგებდა სამეფოს.

მთაწმინდა ოდითგან თბილისელთა უსაყვარლესი ადგილი იყო. მან აღაფრთოვანა ჩვენი გამოჩენილი მგოსანი ნ. ბარათაშვილი, აქ დაწერა მან ბრწყინვალე ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზე". თბილისი დიდ რუს მწერალს ა. გრიბოედოვსაც უყვარდა. მთაწმინდით აღფრთოვანებულმა „ყველაზე პოეტური და სურათოვანი ადგილი" უწოდა მამადავითს. 1829 წელს მხეცურად მოკლული დიდი მწერლის ნეშტი ირანიდან თბილისში ჩამოიტანეს და მის საყვარელ მთაწმინდის მიწას მიაბარეს. შემდგომში აქვე დაასაფლავეს გამოჩენილი ქართველი პოეტის ალ. ჭავჭავაძის ასული, ა. გრიბოედოვის მეუღლე ნინო ჭავჭავაძეც.

თბილისს ისეთი სტუმარი არ სწვევია, მუხლი რომ არ მოეყარა მთაწმინდის მშვენიერების წინაშე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთამწინდას სათანადო ყურადღება მიექცა. 1929 წელს, მთავრობის დადგენილებით, მთაწმინდა გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონად გამოცხადდა. აქ დაკრძალულნი არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი (რომლის ნეშტიც აქ დიდუბის პანთეონიდან გადმოასვენეს), ილია ჭავჭავაძე (რომლის საფლავზე დიდებული ძეგლი აღმართა გამოჩენილმა ქართველმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ), აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დავით ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, მოსე ჯანაშვილი, აქვსენტი ცაგარელი, გალაკტიონ ტაბიძე, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი, გამოჩენილი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე, საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები — მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე, ცნობილი ქართველი მეცნიერები სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი და სხვანი.

მთაწმინდის პანთეონს ყოველდღე მრავალი მნახველი ჰყავს. აქ მარტო თბილისელები კი არ მოდიან, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრებიც.

ა. გეგეჭკორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

## კაზანი

ჯ. კერვუდი

კანადელი მწერალი ჯეიმს კერვუდი წლების მანძილზე ნადირობდა. უღრანი ტყეების ბინადრებმა მას დიდი სიამოვნება მიანიჭეს. შემდგომში, ნადირის ხოცვას თავი დაანება და ცხოველებზე წიგნების წერას შეუდგა. ბევრ მის წიგნს საფუძვლად ნამდვილი ამბები უდევს. ბევრმა თქვენგანმა ალბათ უკვე წაიკითხა ქართულად თარგმნილი მისი ნაწარმოები „გრიზლი".

ჯ. კერვუდი „კაზანში" ველური ძაღლის ამბავს მოგვითხრობს. ავტორი აცხადებს, რომ ამ მოთხრობაში არაფერი არ არის გამოგონილი და მთელი ამბავი ნამდვილ ფაქტებსა და უშუალო დაკვირვებებზეა დამყარებული.

„კაზანის" წაკითხვით ც ხ ო ვ ე ლ თ ა სამყაროს ბევრ უცნაურობას გაიგებთ.




## გრიგალას სიმღერა

გიორგი მერკვილაძე

მაქსიმ გორკი ბავშვობაში, რაც კი ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს კითხულობდა. ათი წლისამ დღიურების წერა დაიწყო. წერდა ცხოვრებისა და წიგნებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს. ცხოვრება კი მეტად რთული ჰქონდა: მზარეულად მხაზველად, მეფუნთუშედ მუშაობდა, გრიაზე-ცარიცინის რკინიგზაზე დარაჯად მსახურობდა. ჯურღმულებში ცხოვრობდა და რამდენჯერმე ფეხითაც კი შემოიარა რუსეთი, თვითგანვითარების წრეებში დადიოდა... ცხოვრების შთაბეჭდილებები დიდმა მწერალმა თავის სახელგანთქმულ ნაწარმოებებში გააცოცხლა.

გამომცემლობა „ნაკადულმა" ახლახან გამოსცა გიორგი მერკვილაძის „გრიგალას სიმღერა". ამ წიგნს რომ წაიკითხავთ, საფუძვლიანად გაეცნობით საბჭოთა მწერლობის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.






## კომბოსტომ ყველას აჯობა

ჩვეულებრივი კომბოსტო ერთადერთი მცენარე აღმოჩნდა, ინგლისის ქალაქ ლიუტონ-ბედფორშირის ქუჩებს რომ შეეგუა. ფაბრიკების მილებიდან ამოსულმა მომწამვლელმა კვამლმა და ავტომანქანების მიერ გამობოლქვილმა გაზებმა ამ ქალაქის ქუჩებზე ყველა ყვავილი და ბალახი მოსპო. მუნიციპალურმა საბჭომ, რომელიც ცდილობს, მაინც გაამწვანოს ქალაქის ქუჩები, მრავალი ცდა ჩაატარა, მაგრამ, კომბოსტოს გარდა, ყველა სხვა მცენარე დაიღუპა.

## ძაღლი და ბაჭია

ინგლისის ერთ ერთ ქალაქში ცხოვრობს ორი განუყრელი მეგობარი — ძაღლი რამა და ბაჭია ბერტო. ერთად სეირნობის დროს ბაჭია ვერაფრით ვერ ახერხებდა ძაღლის მხარდამხარ სიარულს, ყოველთვის უკან ჩამორჩებოდა ხოლმე. და აი, ძაღლმა



გამოსავალი იპოვნა: თავისი პატარა მეგობარი სასეირნოდ კალათში ჩასმული დაჰყავს.

## საათის ისრების კოლექცია

ქალაქ ბერნის მცხოვრები ერნსტ მაქსი საათის წუთის მაჩვენებელ ისრებს აგროვებს. ამ კოლექციაში ორი ათასამდე სხვადასხვა ზომის ისარია თავმოყრილი. მათგან ყველაზე მოკლე — სულ რაღაც 0.8 მილიმეტრი სიგრძის ისარი ოქროსაგან არის დამზადებული, ყველაზე გრძელი კი (1,6 მეტრი სიგრძისა) — ალუმინის შენადნობისაგან.

## დუელი... ფარშევანგის ფრთებით

დუელში, ჩვეულებრივ, დაშნით, რევოლვერით, ხმლით, რაპირათი იბრძოდნენ ხოლმე. მაგრამ ნახევარკუნძულ მალაკაზე მცხოვრები საკას ტომის ხალხი ფარშევანგის ფრთებით ბრძოლას ამჯობინებს.

სეკუნდანტის მიერ ნიშნის მიცემისთანავე დუელის მონაწილენი, „იარაღით" პატარა წრეში გამოდიან და ფარშევანგის ფრთებით ერთმანეთს ულიტინებენ. დამარცხებულად ის ითვლება, ვინც პირველი გაიცინებს.





მეთევზეებმა იციან, მკედი თუ დაეხვია, მისი გამოხსნა სისხლს გაგიშრობს. იშოვნე რეზინის მილი, გადაჭერი ერთ ხელის დადებაზე და ანკესის ტარს ჩამოაცვი. როცა მკედს ტარზე დაახვევ, ანკესი იმ რეზინში ჩაასვი. მკედიც კარგად გამაგრდება და აღარც ანკესი დაბლაგვდება.

დიდ ფურცლოვან რკინაზე რაიმე დეტალის მირჩილვა ჭირს. სარჩილავი მის გახურებას დიდხანს უნდება. აიღე ელექტრო უთო გადმოაბრუნე და ფურცლოვანი რკინა ზედ დაადე. მირჩილვა გაცილებით გაგიადვილდება.

ბურღის პირი თანაბრად არის თუ არა გალესილი, ასე შეამოწმე:

ზამთარში, როცა ოთახის ფანჯრები დაკეტილია და ცენტრალური გათბობის რადიატორი ისეა გაცხელებული, რომ ხელს ვერ დააკარებ, ოთახში ჰაერი შრება. ეს ჯანმრთელობისათვის საზიანოა თანაც ძალზე ვნებს ავეჯს. იმისათვის, რომ ოთახში ჰაერმა საჭირო ტენიანობა შეინარჩუნოს, რადიატორზე წყლიანი ჭურჭელი უნდა ჩამოჰკიდოთ. რაც უფრო ცხელია რადიატორი, წყალი მით უფრო ინტენსიურად ორთქლდება და ამდენად ოთახის ჰაერიც უფრო მეტად ტენიანდება. ჩამოკიდებული ჭურჭლის ნაცვლად შეიძლება რადიატორის ქვეშ წყლით სავსე ჯამი დადგათ.

მაცივარში ცუდი სუნი რომ არ დადგეს, წვრილად დაფხვნილი ნახშირი დაჭყარეთ თეფშზე და შიგ შედგით.

ზეთის საღებავით დასვრილი ხელების საპნით დაბანა ძნელია. ამისათვის იხმარეთ მცენარეული და ცხოველური ზეთები და საპონი შემდეგ გამოიყენეთ.

ზოგიერთი პროდუქტი შუქს ვერ იტანს. ამიტომ ისინი დახურულ ჭურჭელში უნდა შეინახოთ. პირველ რიგში ეს ეხება ჩაის, კაკაოს, ყავას, საკვებ კონცენტრატებს, საკონდიტრო ნაწარმს, თაფლს, ბურღულს, მაკარონს. შუქი ცუდად მოქმედებს მცენარეულ და ცხოველურ ცხიმებზე, შედედებულ რძეზე, ყველზე, ხილზე; კარტოფილი და ხახვი კი შუქზე ლვივდება და კილი გამოაქვს.










# სარჩევი

სახელი და საქმე მისი მარად იცოცხლებს . . 2 გვ.
ვ. ლიბკნეხტი — მარქსი მუშაობის დროს. მარქსი და ბავშვები (მოგონება, თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა) . . . . . 3
ვ. ქარუმიძე — დაბადება (წერილი) . . . . . 5
თ. ჩხაიძე — ქარიშხლიანი ბილიკებით (მოთხრობა, ნაწყვეტი) . . . . 8
მ. ხერგიანი — სიცოცხლის მწვანე ობელისკები (ნარკვევი) . . . 16
ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო . . . . . . 20
ა. აბულაშვილი — გათენება ალაზანთან, მეჯოგე (ლექსები) . . 21
გ. ალიბეგაშვილი — როდენი და მაიოლი (წერილი) . . . . . 22
დამწყები კოლექციონერის დასახმარებლად . . 25
ჰ. კინჩერი — ლაქა ამერიკასთან (თარგმნა შ. ამირანაშვილმა) . . . 26
ბუნების კარი . 27
დ. გეგეშიძე — როგორ იბადებიან და კვდებიან ღმერთები (წერილი) . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . . 31
ახალი წიგნები . 31
გამოგადგება . 32
თავშესაქცევი . . . . . . . . . 3
გარეკ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზურაბ კაპანაძეს.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—95-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—95-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
საქ. კპ ცკის გამომცემლობა უე 00671 ტირ. 89.750. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ქაღ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 15/IV-68 წ. სტამბის შეკვ. 1309. გამომც. შეკვ. 580.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

# თავსატეხები

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

1. გამოჩენილი ქართველი მწერალი; 2. საფლავი ანუ?.. 3. დიდი რუსი მწერალი; 4. ჩოხატაურის რაიონის ერთ-




ერთი სოფელი; 5. პლანეტა; 6. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. ქსოვილის სახეობა; 8. პატარა შუშა, ჭურჭელი ნელსაცხებელისა, ოდეკოლონისა და სხვა... 9. ანცი ანუ?.. 10. ძველი ციხე-სიმაგრე საქართველოს სამხედრო გზაზე; 11. საბჭოთა მოჭადრაკე ქალი; 12. მისწრაფება, ნდობა ანუ?.. 13. დასასვენებელი და სამკურნალო ადგილი; 14. შეჯიბრი ანუ?.. 15. მებატონის, მემამულის ქონების განმგებელი; 16. ქართველი მწერალი; 17. რისამე გარჩევა, განხილვა შეფასების მიზნით; 18. მთა სომხეთში; 19. სისხლის წნევის დაცემა და გულის მოქმედების ერთბაშად დაქვეითება; 20. პუშკინის ერთ-ერთი პოემა: 21. კომის ასსრ-ის ერთერთი ქალაქი; 22. სურათი ან სახე, რომელიც შედგენილია ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ფერადი კენჭების, მინის და სხვა პატარ-პატარა ნაჭრებისაგან; 23. რუსული ოთხთვალა; 25. შენობის ჩონჩხი; 25. ახალგაზრდა სახელმწიფო აფრიკაში; 26. კოშკის ან კედლის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს ან ასრულებს რაიმე მელოდიას; 27. ფარდაგით გადახურული ურემი. ტახტრევანის საჩრდილობელი; 28. პოლონური ხალხური ცეკვა; 29. ბეჯითი ანუ?.. 30. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ქალაქი.

პასუხი № 4-ში დაბეჭდილ თავშესაქცევზე კროსვორდი

1. ქენევა; 2. მადრიდი; 3. მოსკოვი; 4. ლიონი; 5. ვილნიუსი; 6. ლონდონი; 7. პარიზი. 8. ჰამბურგი; 9. პრაღა; 10 ვარშავა; 11. მარსელი; 12. ათენი; 13. ლისაბონი; 14. ბუდაპეშტი; 15. კრაკოვი; 16. მილანი; 17. გლაზგო; 18. სოფია.

უჯრედების ზუსტად შევსების შემდეგ ჰორიზონტალურად მიიღება: ნიკოლოზ ბარათაშვილი.

# ჭადრაკი

## როგორ ითამაშა ალიოხინმა?



ჭადრაკის რომელი მოყვარული არ აღფრთოვანებულა მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის დიდებული კომბინაციებით.

მისი ზუსტი და შორსგამჭვრეტი, მახვილი და თამამი კომბინაციები უჭკნობი სილამაზით არის აღსავსე. ამიტომ იყო, რომ ალიოხინი ჭადრაკის სამყარომ გენიოსად მონათლა.

აქ მოყვანილი პოზიცია 1928 წელს ინგლისში ნათამაშები პარტიის ფინალია. ალიოხინი თეთრებით თამაშობდა და, თავბრუდამხვევი შესავალი სვლების შემდეგ, მოწინააღმდეგეს მეშვიდე სვლაზე, ფარ-ხმალი დააყრევინა.

აბა, თუ მიხვდებით, როგორ ითამაშა ალიოხინმა?

### ასე ითამაშა ალიოხინმა:

1. ლ:e4! ლაზიერის შეწირვა. 1...fe. 2.კ:g4+; შემდეგ იწყება ლია ქიშების სერია: 3.მg6+მფh7; 4.მ:f8+მფh8; 5. მg6+მფh7; 6. მe5+მფh8. 7. მხf7+ ჭეშმარიტად რომ ბრწყინვალე კომბინაციაა!

სცადეთ



ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა



რ ო დ ე ნ ი. მოაზროვნე.



რ ო დ ე ნ ი. კაცი ჩამტვრეული ცხვირით.



რ ო დ ე ნ ი. ის რომელიც მშვენიერი ომიერი იყო.



მ ა ი ო ლ ი. მჯდომარე ქალი.